# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 16 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 173 (6031)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# თუ ნატო უახლოეს მომავალში თავის რიგებში არ მიიღებს საქართველოს, რუსეთის აგრესიისგან ქვეყნის გადარჩენა შეუძლებელი იქნება!




გუშინ თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

სხდომას ესწრებოდნენ ალიანსის გენერალური მდივანი სხეფერი, ნატოს წევრი 26 ქვეყნის ელჩები, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები — უშიშროების საბჭოს მდივანი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, სხვა ოფიციალური პირები.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ნატოს გენერალური მდივანიც. ხელი მოაწერეს საქართველო-ნატოს კომისიის ჩარჩო-ხელშეკრულებას ნატო-საქართველოს კომისიის შექმნის თაობაზე. სხდომის დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტმა ნატოს გენერალური მდივანი ავლაბრის რეზიდენციაში მიიღო.

დღეს შეხვედრა გაიმართება სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან. სხეფერი დღესვე რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ გორს მოინახულებს.

ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი და ალიანსის საბჭოს სხდომა უმნიშვნელოვანესი ფაქტია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თუ ნატო უახლოეს მომავალში თავის რიგებში არ მიიღებს საქართველოს, რუსეთის აგრესიისგან ქვეყნის გადარჩენა შეუძლებელი იქნება!

## ნინო ბურჯანაძის დაბრუნება 2

**რამაზ საყვარელიძე:**

**რუსეთი საქართველოში მოიქცა როგორც ტერორისტი, და ახლა უკვე ამ ტერორისტულმა ქვეყანამ დასავლეთს თავისი პირობების წაყენება დაუწყო** 4

## თარგამოსის შთამომავალნი 6

# ქვეყნის 2 ათასზე მეტ საჯარო სკოლაში სწავლა დაიწყო

15 სექტემბერს სრულიად საქართველოს მასშტაბით სასწავლო პროცესი ორი ათასზე მეტ საჯარო სკოლაში განახლდა. გამონაკლისი იყო ის სკოლები, სადაც დღეისთვის სარემონტო სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრო. როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, პირველი ოქტომბრისთვის ყველა სკოლა მზად იქნება.

სასწავლო პროცესი არ დაწყებულა კონფლიქტის ზონის, კონკრეტულად, გორისა და მისი მიმდებარე სოფლების რამდენიმე სკოლაში. თბილისში კი 210 სკოლიდან მხოლოდ 143-მა დაიწყო სწავლა.



პირველკლასელთა პირველი დღე 157-ე სკოლაში.

ჯემალ კასრაძის ფოტო



# მხეცური უგუნურება, იდიოტური განუსჯელობა, გასაოცარი სიბეცე... 5

განსჯა

# ნინო ბურჯანაძის დაბრუნება



**გასულ პარასკევს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი იმედი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე პირველად წარსდგა საზოგადოების წინაშე სრულყოფილი ოპოზიციონერის ამპლუაში.**

მას შემდეგ, რაც მან უარი განაცხადა სათავეში ჩასდგომოდა „ნაციონალთა“ საარჩევნო სიას (რაკი, რაოდენ უცნაური და დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ბოლო მომენტამდე ვერ მიიღო გარანტია, რომ ახალ პარლამენტში იგივე სტატუსი ექნებოდა, რაც რევოლუციის შედეგად შექმნილში), მისი ოპოზიციაში გადასვლა ლოგიკურად გარდაუვალი ჩანდა; თუმცა, რუსეთ-საქართველოს ომმა და აგვისტოს ტრაგედიამ ბევრი პროცესი დააჩქარა და შესაძლებლობათა მაქსიმუმი შექმნა პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც უკვე იძულებულნი არიან, იმოქმედონ პრინციპით „დღეს ან არასდროს“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ომმა სერიოზულ პოლიტიკოსებს ასპარეზი გაუთავისუფლა დემარშებისა და საკუთარი „პოლიტიკური პროექტების“ განსახორციელებლად, მაშინ, როდესაც ამის გარეშე, ხსენებული ასპარეზის გათავისუფლებას და შესაბამისი შესაძლებლობების შექმნას წლები დასჭირდებოდა.

არ არის გამორიცხული, სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებით, ნინო ბურჯანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ომის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ხშირად აფრთხილებდა კიდეც პრეზიდენტ სააკაშვილს, — ომი არ დაეწყო „მწარე დამარცხების“ თავიდან ასაცილებლად.

გულწრფელად თუ ვიტყვით, ძალიან უცნაური განცხადებაა! ზოგადად, პოლიტიკური ხელოვნების (და პოლიტიკის, როგორც მეცნიერებისძ ერთ-ერთი თვისება და თავისებურება ის არის, რომ იგი ცნობს მხოლოდ საჯარო სივრცეში შემდგარ ფაქტებს. იმ აზრით, რომ განცხადება — აგრეთვე პოლიტიკური აქცია და ფაქტია. ბურჯანაძე ამჟამად აცხადებს, რომ იგი ეუბნებოდა და აფრთხილებდა პრეზიდენტ სააკაშვილს, არ ეცადა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრა, რადგან ეს კატასტროფული შედეგებით დასრულდებოდა.

კეთილი და პატიოსანი. არანაირი საფუძველი არა გვაქვს, ნინოს გულწრფელობაში ეჭვი შევიტანოთ და არ დავიჯეროთ, რომ იგი მართლაც ეუბნებოდა და აფრთხილებდა (ოღონდ დახურულ კარს მიღმაძ პრეზიდენტ სააკაშვილს; მაგრამ რაოდენ „მწარეც“ არ უნდა იყოს თვით ყოფილი პარალამენტის თავმჯდომარისთვის ამ გარემოებასთან შერიგება, სწორედ პოლიტიკის ზემოთ ხსენებული თვისებიდან გამომდინარე, დღეს მისი ეს მონაყოლი ნაკლებღირებულია, რადგან ვერც ერთი დამკვირვებელი ვერ გაიხსენებს უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში (მაისის საპარლამენტო არჩევნებამდე, უფრო ზუსტად კი საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე და დასრულებამდეძ ნინო ბურჯანაძის თუნდაც ერთ განცხადებას (თუნდაც ძალზე ღრმა ქარაგმითა და მინიშნებით გამოთქმულსძ, რომელიც დაადასტურებდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არ უჭერდა მხარს სახელმწიფოებრივ კურსს(!!!ძ — მიმართულს პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრისაკენ.

ქვეყნის მთლიანობის აღდგენა რომ სახელმწიფოებრივი კურსი იყო, ნებისმიერი ელემენტარულად ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისთვისაც ნათელი იქნებოდა.

მით უმეტეს ქალბატონ ნინოსთვის, ვისაც, ჯერ ერთი, ამგვარად აზროვნების უნარი არ აკლია და, გარდა ამისა, ქვეყანაში მეორე პირი იყო, ფლობდა სრულ ინფორმაციას და მისი თავმჯდომარეობით პარლამენტი წლიდან წლამდე ამტკიცებდა ბიუჯეტს, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი სამხედრო ხარჯების ზრდა და არმიის გაძლიერება-მომზადება გახლდათ.

გაუგებარია, აბა რისთვის სჭირდება ქვეყანას არმია — ალლუმებისთვის ხომ არა?

რუსეთ-საქართველოს ომი სწორედ ამ სტრატეგიის შედეგი გახდა და არა კონკრეტულად 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის ზონაში შექმნილი კონკრეტული ვითარების ან ტაქტიკური გადაწყვეტილებისა, რომელიც უკვე გრძელვადიანი პოლიტიკით შექმნილი ვითარების ლოგიკიდან უცილობლად გამომდინარეობდნენ, ანუ იმის მტკიცება, რომ ზოგადად ომის წინააღმდეგი არ იყავი, არამედ იყავი კონკრეტულად „აქ და ახლა — ამ სიტუაციაში“, აგრეთვე არადამაჯერებელია, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ადგილას ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანე ვერ წარმოიშობოდა და მისი სამხედრო პოტენციალი ისე არ დაკნინდებოდა, საქართველოს ვერ მორეოდა.

როგორც ითქვა, პარლამენტის თავმჯდომარის შესაბამისი განცხადებები ამ ტრენდის წინააღმდეგ არავის გვახსოვს.

სამაგიეროდ, ყველას კარგად გვახსოვს, რომ ნინო ბურჯანაძე არანაკლებ და ხშირად, ზევრად უფრო რადიკალურიც კი იყო რუსეთის მიმართ პოლიტიკის შემუშავება-გატარებისას, ვიდრე თვით პრეზიდენტი სააკაშვილიც კი.

საკმარისია, გავიხსენოთ მისი ყოვლად უკომპრომისო განცხადებები, ინტერვიუები, დემარშები — რუსეთის ბაზების გატანასთან დაკავშირებით; სტრატეგიული მილსადენის რუსეთისათვის მიყიდვის დაუშვებლობის თაობაზე; ნატოში გაწევრებაზე; იმავე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ; გავიხსენოთ თუნდაც ბურჯანაძის უპრეცედენტო დემარში რუსეთის „გოსდუმის“ საიუბილეო სხდომაზე, როდესაც მან ტრიბუნა რუსული პოლიტიკის უმკაცრესი კრიტიკისთვის გამოიყენა; გავიხსენოთ მისი განცხადება, რომ „ოსებს რუსული იარაღის შემოტანა ვერ უშველით“, რომ „საკუთარ შვილებს გააგზავნის ომში“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ბურჯანაძე იყო თანაავტორი იმ გრძელვადიანი პოლიტიკისა, რომლის არსი შეიძლება გამოიხატოს გამარტივებული, თუმცა ზუსტი ფორმულით: „თუ არ დაგვიბრუნებთ აფხაზეთსა და ოსეთს, შევალთ ნატოში. თუ დაგვიბრუნებთ — აღარ შევალთ“.

არადა, უდავო ფაქტია, რომ პუტინის რუსეთი სწორედ ამ პოზიციებმა და გრძელვადიანმა პოლიტიკამ გააღიზიანა და არა „ოსი თანამემამულეების უბედურებამ“.

რუსეთ-საქართველოს ომი გახდა შედეგი იმ კურსისა (და არა კონკრეტული გადაწყვეტილებებისა 2008 წლის აგვისტოშიძ, რომლის შემუშავებასა და გატარებაში ნინო ბურჯანაძე აქტიურად მონაწილეობდა მთელი ამ ხნის განმავლობაში — მას შემდეგ, რაც მან „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული, რადიკალურად განწყობილი ხელისუფლების ლეგიტიმაცია განახორციელა და ამით თავადაც იკისრა პასუხისმგებლობა. ახლა ამ პასუხისმგებლობისგან თავის არიდება აღარ გამოვა, რაკი მიხეილ სააკაშვილს ვერავინ დასდებს ბრალს, რომ მას არ უთქვამს, ღიად არ განუცხადებია თავისი უმთავრესი მიზანი; და რომ ოდესმე დაუმალავს მზადყოფნა, აუცილებლობის შემთხვევაში ებრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის თუნდაც ძალისმიერი გზით.

ყოველივე ამის მიუხედავად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების, პოლიტიკური ელიტისა და მისი თვისებრიობიდან გამომდინარე, დღეს ნინო ბურჯანაძის გადაწყვეტილება, — იპოზიციონეროს, როგორც ხელისუფლების ოპონენტმა და „ბევრად უფრო შორსმჭვრეტელმა“ პოლიტიკოსმა, საქართველოში უნაყოფო და უპერსპექტივო ნამდვილად არ იქნება — პოლიტიკა ხომ ინტერესთა თანხვედრის ხელოვნებაა.

**ნიკა ვაშაკიძე,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

სასკოლო ზარმა შიდა ქართლშიც ჩამოჰკრა

# აგრესორის „ავტოგრაფი“ გორის მე-7 საჯარო სკოლაა

**გუშინ გორსა და გორის რაიონის სკოლებში სწავლის დაწყების ზარი ჩამოჰკრეს. სიხარულიანი და ცრემლიანი ზაფხულის არდადეგების შემდეგ, ათასობით მოსწავლე სასკოლო მერხებს მიუჯდა.**

— ნაკლები პომპეზურობა, მეტი საქმე, — ასეთი განცდით დაბრუნდა სკოლას 20200 მოსწავლე და 2300 პედაგოგი, — გვითხრა გორის რესურსცენტრის უფროსმა გიორგი სოსიაშვილმა.

და მართლაც, ქებას იმსახურებს შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია სწავლის ორგანიზებულად დაწყებისთვის. ომის დროს მტრის თვითმფრინავების, მისი სამხედრო ძალის სამიზნე მარტოოდენ გზები, სარკინიგზო ხიდები და სამრეწველო ობიექტები როდი იყო. იბომბებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, საცხოვრებელი სახლები, უპირატესად კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტები.

გორში ჩამოსული სტუმარი აგრესორის „ავტოგრაფის“ გასაცნობად პირველად ქალაქის მე-7 საჯარო სკოლაში მიდის. აი, იმ რუსული საბრძოლო თვითმფრინავის პილოტმა უნდა „დაიტრაბახოს“: ბომბი ზუსტი დამიზნებით ჩამოვაგდეო. სამსართულიანი შენობა სავალალოდ გამოიყურება, წლეულს იგი ვერ იფუნქციონირებს. ბომბმა უფრო მეტად სკოლის გვერდით მდებარე ბინები დაანგრია. შაურმან კეკოშვილის სახლში ოთხი მიცვალებული ესვენა. მეზობლის სამი ქალი საუბრობდა შორიახლო. ბომბმა ერთს თავი წააგდებინა, მეორეს — ფეხი, მესამე, მურად ლოცუაშვილის მეუღლე, საავადმყოფომდეც ვერ მიიყვანეს. თავად მურადი მოფარებულში შეშას ჭრიდა. გადარჩა, მაგრამ ენაბლუობა დასჩემდა. ბომბი ჩამოაგდეს ქალაქის მე-13 სკოლის სიახლოვესაც. იქაც დიდი მსხვერპლია. მეშვიდე სკოლის მოსწავლეები მეათე სკოლაში გადაანაწილეს. მეტ-ნაკლებად დაზიანდა სოფლის სკოლები. მათ რემონტი ჩაუტარდა, შეიმინა, შეკეთდა, სადაც საჭირო იყო, სახურავი გამოუცვალეს. განახლებულია სასკოლო ავეჯი. ქალაქის სკოლებმა ფარითდ გაუღეს კარი ლტოლვილ ბავშვებს. გაეროს ორგანიზაცია UNICEF-მა ქალაქისა და რაიონის მოსწავლეები კალმებით, რვეულებით, ცარცით, სახაზავებით, სხვა საჭირო ნივთებით მოამარაგა. შემოტანილია საჭირო ოდენობის სახელმძღვანელოები.

ყველა სკოლაშია გახსნილი შემოწირულობის ფონდი. მოსახლეობას საშუალება აქვს, დევნილი ბავშვებისთვის მოიტანოს ტანსაცმელი, წიგნები, სხვა საჭირო ნივთები.

— დილიდანვე შემოვიარეთ სკოლები, — მითხრა გიორგი სოსიაშვილმა, — ვერ ვიტყვი, რომ ისეთი სიხარული და ჟრიამული სუფევდა, როგორც, ვთქვათ, შარშან ან შარშანწინ. ომმა ბავშვები თითქოს ადრეულად დაავაჟკაცა. მათი თვალებიდან ცოდნის წყურვილი, სიდინჯე და სერიოზულობა გამოკრთოდა. მომავალმა თაობამ კარგად იცის: ცოდნა ძალაა, რომელიც სამშობლოს გამთლიანებისთვის, ძლიერებისა და კეთილდღეობისთვის გვჭირდება.



**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ.კორ.**

## იმერეთში სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში განახლდა

**იმერეთში ახალი სასწავლო წელი ჩვეულ რეჟიმში დაიწყო. რეგიონის სკოლების უმეტესობამ სწავლა განაახლა. სასწავლო პროცესი ქუთაისის მხოლოდ სამ სკოლაში არ განახლებულა. მიზეზი ამ სკოლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებია, რომელიც უახლოეს ხანებში დასრულდება.**

იმერეთში სულ 45 სკოლა გარემონტდა და 10 ახალი შენობა აიგო. იმერეთის გუბერნატორმა რამდენიმე მათგანი მოინახულა. მიხეილ ჩოგოვაძე წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში ჩავიდა, სადაც №4 საჯარო სკოლის მშენებლობა ახლახან დასრულდა. სოფელში სკოლა 2 წლის წინათ დაიწვა. ახალი სკოლის მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 200 ათასი ლარი გამოიყო.

ჩოგოვაძემ ახალი სასწავლო წლის დაწყება წყალტუბოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიულოცა. ამ სკოლის რემონტისთვის ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხით კარ-ფანჯრები შეცვალეს და საკლასო ოთახები გაარემონტეს.

იმერეთის გუბერნატორი სოფელ თერნალსაც ეწვია. სოფელს ერთი სკოლა ემსახურება და 70 მოსწავლეზეა გათვლილი. მიხეილ ჩოგოვაძე მოსწავლეებს სკოლის გარემონტებას დაჰპირდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## გაზრდილი ბიუჯეტი — განათლების სისტემას

**განათლების სამინისტრო ახალ სასწავლო წელს, რომელიც გუშინ დაიწყო, გაზრდილი ბიუჯეტით შეხვდა**

დამატებითი თანხები დევნილი მოსწავლეებისა და სტუდენტების დაფინანსებას, სკოლებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოხმარდება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ომით მიყენებული ზარალის გამო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 14 მლნ. ლარით გაიზრდება.

მათივე ცნობით, აღნიშნული თანხა დევნილ მოსწავლეებს, სტუდენტებს და იმ კვლევითი ინსტიტუტებისა და სკოლების აღდგენას მოხმარდება, რომლებიც ომის დროს დაინგრა.

სამინისტროს ინფორმაციით, დაზარალებული ბავშვებისთვის სასკოლო წიგნებს სახელმწიფო შეიძენს.

გარდა ამისა, იმ სტუდენტებზე, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურს იხდიდნენ და ომის შედეგად მათი ოჯახები ყოველგვარი სახსრების გარეშე დარჩნენ, სოციალური გრანტი გაიცემა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ თვალსაზრისი



**რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის მიერ სოჭში გაკეთებულ მნიშვნელოვან განცხადებებზე, სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულების პერსპექტივებზე, საქართველოსთვის თბილისში ნატოს საბჭოს სავარაუდო შედეგებზე და ექს-სპიკერ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ გააქტიურებაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

# რამაზ საყვარელიძე: რუსეთი საქართველოში მოიქცა როგორც ტერორისტი, და ახლა უკვე ამ ტერორისტულმა ქვეყანამ დასავლეთს თავისი პირობების წაყენება დაუწყო

**— ბატონო რამაზ, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის მიერ სოჭში გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ მოსკოვმა დასავლეთისაგან საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ინტერესების გათვალისწინება, ერთიანი წესებით მოქმედებაზე შეთანხმება მას შემდეგ მოითხოვა, რაც საქართველოს მიმართ ძალის დემონსტრირება მოახდინა და თავად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.**

**რჩება შთაბეჭდილება, რომ პუტინმა დასავლეთთან სერიოზული ვაჭრობა დაიწყო, რომლის ფარგლებში იგი მზადაა დასავლეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში, თავის მხრივ, კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიაროს.**

— ბევრმა ექსპერტმა გამოთქვა ეჭვი, რომ რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო კომპანია რეალურად იყო მოსკოვის ომი არა საქართველოსთან, არამედ დასავლეთის წინააღმდეგ. პუტინის მიზანი იყო იმის მიღწევა, რომ რუსეთს, როგორც ქვეყანას, დასავლეთმა ანგარიში გაუწიოს.

პუტინმა რამდენიმეჯერ აღნიშნა, რომ დასავლეთმა რუსეთს კოსოვოს გარდა მთელ რიგ საკითხებში ანგარიში არ გაუწია. საუბარია პოლონეთში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე და აღმოსავლეთით ნატოს გაფართოებაზე. ჩემი აზრით, ყველაფერმა ამან გადააწყვეტინა რუსეთს, თავადაც არ გაუწიოს ანგარიში დასავლეთს და თავისი ანგარიშები წარუდგინოს საქართველოში განხორციელებული გარკვეული ძალისმიერი მოქმედებების შემდეგ.

დასავლეთს კოსოვოში ფიზიკური ძალა, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენთან ჰქონდა ადგილი, არ გამოუყენებია. მაგრამ დასავლეთმა კოსოვოში გამოიყენა თავისი პოლიტიკური, დიპლომატიური გავლენა და თავისი გაიტანა. რუსეთმა დასავლეთს კოსოვოში მოქმედებაზე საქართველოში უპასუხა.

მე ამ ნაბიჯის გამართლების სურვილი ნამდვილად არა მაქვს, მაგრამ ლოგიკა თუ არ დავინახეთ ნაბიჯისა, ხელი შეგვეშლება ანალიზში. იმის თქმა, რომ რუსეთს მაინცდამაინც მხოლოდ საქართველოს ჟინი ჰქონდა, მომხდარის არაადეკვატური შეფასება იქნებოდა. ჩემი აზრით, რუსეთს რომ ამის სურვილი ჰქონოდა, იგი ამ 15 წლის განმავლობაში როცა უნდოდა, ნებისმიერ მომენტში აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ამისათვის რუსეთს ყველა კოზირი თავიდანვე ხელში ეჭირა. ჩვენ გვახსოვს, დუმამ არაერთხელ მიმართა პუტინს, ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ იგი ამას თავს არიდებდა. ახლა რომ აღიარა, სწორედ საერთაშორისო მდგომარეობის შედეგია, ანუ პუტინი იძულებული გახდა, წასულიყო იმ ნაბიჯზე, რომელიც მას თვითონაც არ აძლევდა ხელს. იგი ამის გასაკეთებლად იძულებული გახდა არა საქართველოს მხრიდან, არამედ დასავლეთის მოქმედებისა და უფლებების გადანაწილების გულისთვის.

ჩემი აზრით, თუ ჩვენ ეს ვერსია გავიზიარეთ, ლოგიკური იქნება პუტინის ეს ინტერვიუ და ის დაუნდობლობაც და ის სახეც, რომელიც რუსეთმა სამხედრო კამპანიაში აჩვენა. ეს ტერორისტის ქცევაა. რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აქცია მიზნად დასავლეთის დაშინებას ისახავდა. რუსეთი თავს აშკარად შეუსაბამო ქვეყანას დაესხა და საქართველო აშკარად მძევლის როლში იყო. რუსეთი საქართველოში მოიქცა როგორც ტერორისტი. ახლა უკვე ტერორისტულმა ქვეყანამ დაუწყო დასავლეთს პირობების წაყენება.

**— რამდენად მიიღებს დასავლეთი რუსეთის მიერ მისთვის წაყენებულ პირობებს და ვაჭრობის იმ წესებს, რომელთა დაწესებასაც რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ცდილობს?**

— მეჩვენება, რომ დასავლეთმა რუსეთის თამაშის წესები და პირობები ნაწილობრივ მიიღო. ამერიკულმა მხარემ შეთანხმებების მისაღწევად მედვედევთან შეხვედრა მოითხოვა და ამის შესახებ განცხადება რუსეთში აშშ-ს ელჩმა გააკეთა. ამერიკის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი გულისხმობს, რომ იგი აპირებს, დაფიქრდეს რუსეთის პირობებზე.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს ის გარემოება, რომ სარკოზი-მედვედევის მიერ 8 სექტემბერს ხელმოწერილ შეთანხმებაში გათვალისწინებული არ არის რუსი სამხედროების სამეგრელოს რაიონიდან, კერძოდ, ენგურის გასწვრივ მდებარე სოფლებში განლაგებული საგუშაგოებიდან გასვლა. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ რუსულ სამხედროებს უნდა დაეტოვებინათ მხოლოდ ფოთი-სენაკის მონაკვეთზე არსებული 5 საგუშაგო.**

— 8 სექტემბრის შეთანხმება და შეთანხმებათა ის ციკლი, რომელიც ამ ინციდენტს ახლდა, ბევრ ხარვეზს მოიცავს, რაც ალბათ აიხსნება იმ ტემპით, რომლითაც განვითარდა მოვლენები და ყველაფერი გააზრებული შეიძლება არ იყო.

მაგრამ თუ იქიდან ამოვალთ, რომ 8 სექტემბრის შეთანხმება გარკვეული გაგრძელებაა 12 აგვისტოს შეთანხმებისა, მაშინ საწყის პოზიციებზე დაბრუნებაზე იყო საუბარი და არა მგონია, რომ ეს გახდება მომავალში ისეთი პრობლემა, რომლის უნდა გვეშინოდეს.

**— შეთანხმებასთან დაკავშირებით მხარეები განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ, ხავიერ სოლანა აცხადებს, რომ ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებლები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა განლაგდნენ, ანალოგიურ კომენტარს აკეთებს საქართველოს პრეზიდენტი. მათგან განსხვავებულ მოსაზრებებს დაჟინებით იმეორებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. მისი მტკიცებით, შეთანხმება ევროკავშირის დამკვირვებლების აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განლაგებას არ ითვალისწინებს და მათ იქ არაფერი ესაქმებათ, რეალურად რასთან გვაქვს საქმე?**



— რა თქმა უნდა, რუსეთი ეცდება, რომ აღებული ტერიტორიების მაქსიმუმი დაიტოვოს. არა იმიტომ, რომ მისთვის საქართველოს თემაა აქტუალური, არამედ ეს იქნება ზეწოლის და ვაჭრობის კიდევ ერთი მექანიზმი დასავლეთთან.

იქნებიან თუ არა ევროკავშირის დამკვირვებლები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ეს, რა თქმა უნდა, საკვანძო საკითხია. თუ კი აღმოჩნდა, რომ რუსეთი დამკვირვებლების კონფლიქტის ზონებში ყოფნას დათანხმდა, მაშინ მის მიერ ამ რეგიონების აღიარებისაკენ გადადგმული ნაბიჯი აზრს კარგავს და ამით ფაქტობრივად რუსეთი დათმობს თავის აღიარებას. იქამდე, სანამ დასავლეთი რუსეთს რამეს არ შესთავაზებს, მე ადრე თუ გვიან ასეთ დათმობას გამოვრიცხავ, მაგრამ უფასოდ დათმობა რუსეთს არ სჩვევია.

**— საქართველოში ნატოს საბჭოს სხდომა თბილისში პირველად ტარდება. მასში მონაწილეობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების ელჩები იღებენ. რას შეიძლება ველოდოთ ნატოს საბჭოს თბილისური სხდომისაგან?**

— ნატოსთან დაკავშირებით სულ ერთი საკითხია აქტუალური, კერძოდ, მივიღებთ თუ არა MAP-ს. ამ საკითხში პოზიცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე შუალედური ნაბიჯები გავიაზროთ. სხვების მსგავსად, მეც ვთვლი, რომ იმ ვითარებაში და პირობებში, რომელშიც ვართ, MAP-ის მიღება რამდენიმე მიზეზით გაჭირდება.

საქართველოს მიერ MAP-ის მიღება კიდევ უფრო გაამწვავებს რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობას. მე ვერ ვხედავ, რომ რუსეთთან ასეთი მორიგი გამწვავებისთვის დასავლეთი მზად იყოს. მეორეს მხრივ, პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში მაინც ფიგურირებს აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველომ, თავის მხრივ, მაინც ხელი შეუწყო კონფლიქტის დაწყებას. ზოგან გაიელვა ასეთმა აზრმაც, წარმოგიდგენიათ, საქართველო რომ ყოფილიყო ნატოს წევრი, რა მოხდებოდა?

სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთი საქართველოში სხვა პოლიტიკურ სურათს დაელოდება. მე არ ვამბობ ხელისუფლების შეცვლას ან ამის მსგავს რაიმე რადიკალურს, მაგრამ საუბარია საქართველოში მშვიდობიანი პოლიტიკური კურსის არსებობისათვის მყარ გარანტიებზე.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## სახალხო დამცველი შალვა რამიშვილის გათავისუფლებას ითხოვს

**2008 წლის 12 სექტემბერს სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს, ნიკა გვარამიას შალვა რამიშვილის ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართა.**

**სახალხო დამცველის თქმით, შალვა რამიშვილმა უკვე მოიხადა სასჯელის სამ მეოთხედზე მეტი და ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონია დისციპლინური დარღვევის არც ერთი შემთხვევა, რაც შეიძლება ყოფილიყო იმის საბაბი, რომ შალვა რამიშვილის მიმართ არ იქნას გამოყენებული კანონით გათვალისწინებული ზომა — პირობითი ვადამდე გათავისუფლება.**

**მიმართვაში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა შალვა რამიშვილის წვლილზე ქართული ჟურნალისტიკისა და სამაუწყებლო კულტურის განვითარებაში. აღნიშნა, რომ რამიშვილის პროგრამები ძველი სტერეოტიპების მსხვრევისა და თავისუფალი აზროვნების დამკვიდრებას უწყობდა ხელს.**

**სახალხო დამცველი არ იცვლის შეხედულებას და ამჯერადაც ღრმად არის დარწმუნებული რომ კანონის წინაშე ყველამ ერთნაირად უნდა აგოს პასუხი, მიუხედავად მისი დამსახურებისა; თუმცა ქვეყნისთვის რამიშვილის თავისუფლებაში ყოფნა ბევრად უფრო სასიკეთოდ იქნება ვიდრე მისი იზოლაცია.**

◉ განუკითხაობა

# ყველა დასაჭერია?

**ზუგდიდში დაპატიმრებათა სერიალი, რომელიც კარგა ხანია მინელებული იყო, ისევ განახლდა.**

როგორც ყოველთვის, აპატიმრებენ ყველა თაობის, ყველა ფენის წარმომადგენელს ძირითადად ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-მოხმარება-გასაღების და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების მოტივებით. აპატიმრებენ ყველგან — სახლებში, ქუჩებში, დღისითაც და ღამითაც, ხალხი დაშინებულია, ხმის ამოღებას ვერ ბედავენ, ამიტომ შორიდან შეჰყურებენ ამ არც თუ ისე მომხიბლავ სანახაობას.

არავინ იცის, ვინ იქნება მომავალში ზუგდიდელი სამართალდამცველების „მსხვერპლი“. თითქოსდა დაცარიელებული საპყრობილეები ისევ ივსება.

ამ პროცესში მოჰყვა ზუგდიდელი დემურ ანთია — საქართველოს კონსერვატიული პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ამ პარტიაში გადმოვიდა „ქართული დასიდან“ მას შემდეგ, რაც ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტარობა ისურვა. დემურ ანთიას, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მოზომილი სიტყვა-პასუხით, მიუხედავად ხანგრძლივი ოპოზიციონერობისა, დაკავება იარაღის შენახვის მოტივით, ყველასათვის მოულოდნელი იყო.

გავრცელებული ვერსიით, მიმალვაშია ზუგდიდში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი, სახელისუფლებო წრეებთან ძალზე დაახლოებული პიროვნება — თემურ ყორშია. მას დასაჭერად დასდევენ სამართალდამცველები. ბრალად ედება გადასახადების დიდი ოდენობით დამალვა. ასევე თურმე რუსების ზუგდიდში ყოფნის პერიოდში მათთვის დახმარება გაუწევია, თუმცა, როგორც ზუგდიდში ამბობენ, ყველაფერი იმის ბრალია, რომ მავანი დიდმოხელენი მას ალმაცერად უყურებენ.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდი**

თვალსაზრისი

# რამაზ საყვარელიძე: რუსეთი საქართველოში მოიქცა როგორც ტერორისტი, და ახლა უკვე ამ ტერორისტულმა ქვეყანამ დასავლეთს თავისი პირობების წაყენება დაუწყო

(მესამე გვერდიდან)

მოგეხსენებათ, MAP-ი მხოლოდ ერთი შუალედური ნაბიჯია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ნაბიჯი დასავლეთისთვის ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ესეც არა მგონია მოხდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ დასავლეთმა საქართველოს ამ სურვილს ანგარიში არ გაუწია, თუ მან საერთოდ არანაირი რეაქცია არ მისცა, გამოვა, რომ რუსეთმა თავისი გაიტანა და ამ პროცესის დასავლეთისთვის ასე დასრულება არ შეიძლება.

გარკვეული თვალსაზრისით დასავლეთი არ არის იოლ მდგომარეობაში. მან უნდა მოძებნოს ისეთი ფორმულა, რომლითაც საქართველოს ნატოსთან დაახლოების პროცესს გაზრდის, მეორე მხრივ, არ შექმნის რუსეთთან ან საქართველოსთან ურთიერთობაში მორიგ სირთულეებს. ამიტომ მგონია, რომ ერთ-ერთი ფუნქცია ამ შუალედური შეხვედრისა იქნება იმ ფორმების მოძებნა, რომელიც დასავლეთს ამ დილემას გადააწყვეტინებს.

**— ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გააქტიურება მოსალოდნელი იყო, მაგრამ ახლა, როცა ოპოზიციური სპექტრის ხმა ძლიერად არ ისმის, პარლამენტის ექს-თავმჯდომარის მიერ გაკეთებულმა კრიტიკულმა განცხადებებმა საკმაოდ „ხმამაღლა“ გაიჟღერა. რატომ გახდა რადიკალური ბურჯანაძე?**

— საერთოდ, როდესაც ხელისუფლებაში ნამყოფი ადამიანი ამ პოზიციაში დგება, მისი განცხადებები უფრო ხმამაღლა ჟღერს, ვიდრე რომელიმე ოპოზიციონერის მიერ გაკეთებული განცხადებები.

დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ბურჯანაძის რადიკალურობა განაპირობა იმ კონკრეტულმა მოვლენებმა, რომლებიც ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში განვითარდა და მისი დასავლეთში ყოფნისას საქართველოში არსებული რეალობა სხვანაირად გამოჩნდა. ეს პოლიტიკური რეალობა შეიძლება უფრო მკაცრი იყოს და ამიტომ მდგომარეობის შეფასება შეიძლება აღმოჩნდეს უფრო მძიმე.

ერთია, რას აცხადებენ პოლიტიკური მოღვაწეები საჯაროდ და მეორე, რას ეუბნებიან ისინი იქ ჩასულ ადამიანებს. დათო გამყრელიძესაც მოვუსმინე და შთაბეჭდილება დამრჩა, რომ როგორც ბურჯანაძის, ასევე გამყრელიძის განწყობილებები დიდი ოპტიმიზმით არ გამოირჩევა. არა, ის, რომ შექმნილ ვითარებას არაფერი ეშველება, ეს არც ერთ მათგანს არ გამოუვლენია, მაგრამ ის, რომ პროცესი რთული იქნება, ამის განცდა მათი მონათხრობიდან დამრჩა. ალბათ, როცა ასეთ რეალობას ახლო დისტანციაზე ხედავ, მერე ადამიანები უფრო რადიკალური ხდებიან.

**— სხვადასხვა წრეებში იმაზეც საუბრობენ, რომ ბურჯანაძე სააკაშვილის კრიტიკას ვერ გაბედავდა, მას რომ ზურგს დასავლეთი არ უმაგრებდეს. საუბრობენ იმაზეც, თითქოს მოსალოდნელია ხელისუფლების ცვლა და ახლა აშშ და დასავლეთი სააკაშვილის შემცვლელის ძიებაშია.**

— ჩანაცვლება-არჩანაცვლების თემა უდავოდ არსებობს. ეს თემა არ არის საიმისო, რომ დღეს იგი აქტუალური იყოს. ის, რომ დღეს ეს ყველაზე აქტუალური საკითხი არ არის, ამის შესახებ განცხადება ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმაც გააკეთა. მაგრამ ისევ თუ რეალისტურად შევხედავთ ვითარებას და ამ თემას, პრობლემა ის არის, რომ ქვეყანა არაპროგნოზირებადი პარტნიორის შთაბეჭდილებას ტოვებს და არაპროგნოზირებადი პარტნიორი ყველასათვის ბევრ სირთულეს ქმნის.

მაგრამ, მეორე მხრივ, დასავლეთმა კარგად გაიგო ისიც, რომ ქვეყნის პოლიტიკაში ხელოვნური ჩარევები სიკეთეს არავის არ მოუტანს, მათ შორის თავად ჩამრევსაც კი.

ჩარევამ, შესაძლოა, დივიდენდებიც მოიტანოს, მაგრამ ყველა ნიუანსის გათვალისწინება შეუძლებელია. როგორც ბაზარი ჯობია ბუნებრივი წესებით მოქმედებდეს, ასევე პოლიტიკური ბაზარიც სასურველია მიდიოდეს ბუნებრივი დინებით და გარედან ჩარევები არ იყოს. მგონი ეს ცნობიერება დასავლეთსა და აშშ-ში ფეხს იკიდებს.

მიუხედავად იმისა, როგორი იქნება მათი დამოკიდებულება საქართველოს მომავალი ხელისუფლების მიმართ, მეეჭვება, რომ მათი მხრიდან „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი ფენომენის განმეორება მოხდეს და ერთადერთი, რაც მკაფიოდ უნდა გავაცნობიეროთ და ეს, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას ეხება, იმისთვის, რომ მოვლენები განვითარდეს ისე, როგორც ყველას უნდა, ყველა ნაბიჯი კარგად უნდა აიწონოს, დემოკრატიული გარემო შეცდომისგან ეფექტიანი დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

შეცდომებისგან თავი უნდა დავიზღვიოთ. ადრე უფრო მეტი შეცდომის დაშვების უფლება გვქონდა. ახლა დასაშვები შეცდომების დიაპაზონი კიდევ უფრო შემცირებულია. შეცდომებისაგან დაზღვევის საუკეთესო საშუალებაა დემოკრატია და არა მარტო მათთან, ვინც შენ გსიამოვნებს, არამედ ყველასთან დიალოგის რეჟიმში ყოფნა და დიალოგის მექანიზმის ამუშავება. ეს ბრწყინვალედ შეუძლია ქართველ კაცს, ამით გამოირჩეოდა იგი ყოველთვის და ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ხელისუფლებასაც ეს სხვებზე ნაკლებად არ შეუძლია, თუ მიხვდა, რომ დღეს ამის საჭიროება არის.



**კობა ბენდელიანი.**

წინადადება

# დღეს საქართველოს ინტერესია მთავარი!

**8 სექტემბერს ევროკავშირის წარმომადგენელთა მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულმა შეთანხმებამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით წარმოაჩინა ევროკავშირის როლის ზრდის ტენდენცია საერთაშორისო ურთიერთობებში, მისი დაინტერესება რეგიონული უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებასა და სტაბილურობის მიღწევის საქმეში. რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ამ მიმართულებით ევროკავშირის აქტიურობის შედეგები უმნიშვნელოვანესია საქართველოში არსებული უაღრესად კრიტიკული მდგომარეობის დაძლევისა და ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის და პერსპექტივის წარმოჩენისათვის.**

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ევროკავშირი კვლავაც არ შეასუსტებს თავის ძალისხმევას ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად და უზრუნველყოფს მითითებულ ერთთვიან ვადაში შეთანხმების შესაბამისი პუნქტების შესრულებას. საქართველოს დღევანდელი და მომავალი ცხოვრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა იქნება კონფერენცია, რომელიც, როგორც გადაწყვეტილია, 15 ოქტომბერს უნდა დაიწყოს ჟენევაში. ჩვენი ამოცანაა, კონფერენცია არ შემოიფარგლოს მხოლოდ ჰუმანიტარული საკითხებით (თუმცა მათი მოგვარება, ცხადია, უმნიშვნელოვანესიაძ და განხილვის საგნად გახადოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ვითარება კონფლიქტურ ზონებში (თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებშიძ, საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების გარანტირებული უსაფრთხოების პრობლემები და საქართველოს ევროპასთან დაახლოების გზები.

სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოს ხელისუფლებას დღეს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა სრულფასოვნად დაიცვას საქართველოს ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე. ბოლო ხანებში ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკა სერიოზულ კითხვებს აჩენს არა მხოლოდ მის მიმართ აქამდე ნეიტრალურად განწყობილ ქვეყნებსა და პოლიტიკურ წრეებში, არამედ მის აქტიურ მხარდამჭერებშიც კი. ხელისუფლების ლეგიტიმაცია სერიოზულად არის შესუსტებული ქვეყნის შიგნითაც. ყველაზე სამწუხაროა, რომ ეს მდგომარეობა ქმნის სირთულეებს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის, არამედ, პირველ რიგში, ქვეყნისთვის.

ამგვარ ვითარებაში აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ჟენევის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლობა განახორციელოს მაღალი კომპეტენციისა და გამოცდილების, საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე სპეციალურმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, რომელიც იმავდროულად არ არის პასუხისმგებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე. ასეთ პიროვნებად ჩვენ წარმოგვიდგენია ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, უფრო ადრე კი საფრანგეთის ელჩი საქართველოში, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი.

ქვეყნისთვის ამ უკიდურესად კრიტიკულ ვითარებაში მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას მოთხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და დაუყოვნებლივ დანიშნოს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი სპეციალურ და სრულუფლებიან წარმომადგენლად ჟენევის კონფერენციაზე და ევროკავშირთან ურთიერთობის სფეროში. მივმართავთ როგორც ხელისუფლებას, ასევე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომ ამ მიზნის განხორციელებისთვის დროებით გვერდზე გადადონ პარტიული პოლიტიკური ინტერესები.

**არასამთავრობო ორგანიზაციები: საზოგადოების კვლევის ცენტრი, ქართული აკადემია, სამართლიანი მომავალი, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაცია „იბერ-ირონი“.**

მიმართვას ასევე ხელს აწერენ: **ზაზა შათირიშვილი**, ფილოსოფოსი; **გურამ ოდიშარია**, მწერალი; **მამუკა ბიჭაშვილი**, ფილოსოფოსი; **სოსო ტვილდიანი**, არქიტექტორი; **ოლეგ შატბერაშვილი**, ინფორმატიკის სპეციალისტი; **კოტე ჯანდიერი**, მწერალი; **თამაზ მარსაგიშვილი**, ფიზიკოსი; **თამარ ბერეკაშვილი**, ფილოსოფოსი; **გია ჟორჟოლიანი**, პოლიტოლოგი; **ზურაბ კობერიძე**, იურისტი; **ლიკა შუბითიძე**, მომღერალი; **ზურაბ კუკულაძე**, საერთაშორისო ურთიერთობები; **მირიან გამხიტაშვილი**, ისტორიკოსი; **ციური ანთაძე**, ეკონომისტი; **მანანა დუმბაძე**, ჟურნალისტი, ლიტერატურათმცოდნე; **თიკო ნიბლოშვილი**, სტუდენტი; **ვახტანგ ყოლბაია**, ეკონომისტი და სხვ.

სულ 150 ხელმოწერა. ხელმოწერების შეგროვება გრძელდება.

ინფორმაცია

## რუსები წალენჯიხიდან გასვლას არ აპირებენ

**წალენჯიხის** რაიონის სოფელ კანსა და დაბა ჩხოროწყუში რუსმა ოკუპანტებმა დამატებით მძიმე ტექნიკა შეიყვანეს.

ოკუპანტებმა ჯავშანტრანსპორტიორები მათთვის სპეციალურად გათხრილ სანგრებში განათავსეს.

რუსი ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ისინი გამაგრებული ტერიტორიების დატოვებას არც აპირებდნენ და ახლო მომავალში დამატებითი ცოცხალი ძალის შემოსვლასაც ელიან.

რუსი ოკუპანტების განცხადებით, ისინი დამატებითი ჯავშანტექნიკით და ცოცხალი ძალით წალენჯიხის რაიონის ხუთ ოკუპირებულ სოფელში მოპოვებული პოზიციების გაძლიერება-შენარჩუნებას ცდილობენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## გალში რუსი სამხედროები დაიღუპნენ

**გალის** რაიონის სოფელ გაგიდაში რუსული ჯავშანტრანსპორტიორი ამობრუნდა.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლის თორნიკე კილანავას განცხადებით, დაღუპულია სამი რუსი ჯარისკაცი, რამდენიმე დაშავდა.

დაშავებულები, სავარაუდოდ, სოხუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

◎ ნუთუ XXI საუკუნეა!?

# მხეცური უგუნურება, იდიოტური განუსჯელობა, გასაოცარი სიბეცე...

***რუსეთის მიზანმიმართულმა და ტრადიციულად ცბიერმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ, ვირეშმაკურმა მცოცავმა ანექსიამ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მთელი მსოფლიო მართლა გამოაღვიძა, მაგრამ...***

***ვიდრე რუსეთს დანარჩენი ცივილიზებული სამყარო, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირი, ამერიკა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დიპლომატიურად, აგრეთვე ძალის მუქარით არ დააჩოქებს, ამ ცოდვილ სამყაროს მშვიდობა არ უწერია.***

## რას მოიმოქმედებს შეურაცხყოფილი ამერიკა და ევროპა?



რუსეთი იყო, არის და ალბათ კიდევ დიდხანს დარჩება მსოფლიოს მცირე ხალხების მოურჩენელ წყლულად. რუსეთი დღეს ცხოვრობს თავის სასარგებლოდ და სხვების ჯიბრზე. თურმე, რუსეთს „ვერანაირი ჭკუითაც ვერ განსჯი“ (ტუტჩევიძ და რა გასაკვირია, რომ დღევანდელი საქართველოს არაადეკვატური ხელისუფლება და გაუწონასწორებელი პრეზიდენტი პროვოკაციაზე წამოეგო... გუშინ და გუშინწინ, მცირე, მაგრამ გაუტეხელი ჩეჩნეთის დამაქცევარი პუტინი, ბესლანისა და ნორდოსტის ტრაგედიების ავტორი, 9 აგვისტოს სასწრაფოდ გადმოფრინდა პეკინიდან, მიატოვა ოლიმპიადა, „საკუთარი მოქალაქეების დასაცავად“ ვლადიკავკაზში ჩაბრძანდა და გაბრაზებულმა თქვა: **ამიერიდან რა ნამუსით უნდა მოითხოვოს სააკაშვილმა ქართველებისა და ოსების ერთად ცხოვრება? აგრესორ საქართველოს საკადრის პასუხს გავცემთ და სასტიკად დავსჯით!...**

ამ დროს როკის გვირაბიდან უკვე შემოდიოდა უთვალავი ტანკი, ჯავშნიანი ტექნიკა, საარტილერიო დანადგარი, გაბრიყვებული ჯარისკაცები და ოფიცრები, მინიმუმ 10000 კაცი. სააკაშვილის პიროვნული ზიზღით სავსე პუტინმა თვითონ გასცა ბრძანება ავიაციაც ჩართულიყო ომში და წერტილოვანი დარტყმებით ქართველთა შენაერთები და მთელ ქვეყანაში სამხედრო-სტრატეგიული ობიექტები გაენადგურებინათ.

დასავლეთი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ რუსეთს „ორი თავი“ არ მართავს (ამ დაუნდობელ სისასტიკეს თუ მართვა ჰქვიაძ და მარიონეტ დიმიტრი მედვედევთან მოლაპარაკებას თითქმის აზრი არა აქვს, საბოლოო სიტყვა მაინც პუტინს ეკუთვნის...

რადგან იმ დღეებში პეკინის ოლიმპიადა მიმდინარეობდა, ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და პოლიტოლოგმა ტომას ფრიდმანმა შესანატრი პირდაპირობით დაწერა „ნიუ-იორკ ტაიმსში“: **„საქართველოს კონფლიქტი რომ ოლიმპიური შეჯიბრება ყოფილიყო, ოქროს მედალს — მხეცური უგუნურობისთვის დაიმსახურებდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, ვერცხლის მედალს — იდიოტური განუსჯელობისთვის მიიღებდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ბრინჯაო კი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურ უწყებას (კლინტონის და ბუშის დროისას) შეხვედრებოდა — გასაოცარი სიბეცისთვის!**

## აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!..

პუტინის მხეცური უგუნურება, ასე თუ ისე, გასაგებია. ის კარგა ხანს ემუქრებოდა სააკაშვილს და მისი სახით მთელ ამერიკას და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართველოს „დემოკრატიის“ დახმარებისთვის, არმიის ნატოს სტანდარტებზე გადაყვანისთვის და, ზოგადად, ერთ დროს საბჭოთა კავშირის „წარჩინებული“ რესპუბლიკის აშკარა დასავლური ორიენტაციისთვის. ეს მუქარა განსაკუთრებით გაძლიერდა კოსოვოს აღიარების შემდეგ, თუმცაღა, აფხაზეთსა და ოსეთში რომ სერიოზული გართულებები გვექნებოდა, ჯერ კიდევ მიხეილ გორბაჩოვმა „დააიმედა“ ცხონებული ზვიად გამსახურდია 1990 წელს. მუქარის ფესვები ერთობ ღრმა გახლავთ!

ნამდვილად არ ეგონა პუტინს თუ დასავლეთი ასეთ მკვეთრ რეაქციას მოაყოლებდა **ბარბარუსების** საქართველოში შემოჭრას. მან, როგორც ლოთი ელცინის უშუალო მემკვიდრემ (ლოთი ეძახე შენ, ჩვენი გამოჩენილი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე ხუთჯერ მოგვიტყუა აფხაზეთშიძ, ვერ გათვალა სააკაშვილის „ელვისებური ომის“ შედეგები და არ ეგონა ქართული არმია ასე სწრაფად თუ დაიხევდა უკან.

„ქართული დემოკრატიის მთავარსარდალი“ სააკაშვილი კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად (აღსადგენად!ძ ორი დღით შევიდა ცხინვალში, მილეწმოლეწა სეპარატისტები და ცხინვალის ხუთასკაციანი ომონი და გეზი როკის გვირაბისკენ აიღო...

საერთაშორისო სამართლის ნორმებით, საქართველოს ბაქია პრეზიდენტი მართალია — ოსებმა სისხლი გაგვიშრეს, დაუნდობლად ბომბავდნენ ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობას, ჩვენი ჯარი საკუთარ ტერიტორიაზე გადაადგილდა წესრიგის აღსადგენად, მაგრამ... „ოსების დასაცავად“ და საქართველოს გასანადგურებლად დაძრული რუსული შენაერთები რომ დაინახა, იარაღი დაყარა! ამაზე სამარცხვინო, გაუანალიზებელი, ღირსების შემლახავი უკან დახევა და მტრის წინაშე (თუნდაც ათგზის ალმატებულისძ დაჩოქება საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

აშკარაა, უკან დახევაც რომელიღაც დასავლელი „მფარველის“ მითითებით მოხდა. პრეზიდენტი ამას ისევე არ გვეუბნება, როგორც ომის დაწყების წინ რუსულ „სამშვიდობოებთან“ მოლაპარაკების პერიპეტიებს. რუსებმა ხომ მწარედ მოატყუეს სააკაშვილი: შენ მიდი, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთო!

ვაი, ჩვენს პატრონს, — რუსული „დერჟავის“, რუსეთის ქრონიკული ტერიტორიული ამბიციების შესაჩერებლად შეიქმნა თავის დროზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი — ნატო, მერე რეიგანმა და მისმა თანამოაზრეებმა რის ვაი-ვაგლახით დაშალეს ბოროტების იმპერია — საბჭოთა კავშირი, მაგრამ... **არ გასულა 15 წელიწადი, რომ რუსეთის ახალმა დიქტატორმა პუტინმა გამომწვევად განაცხადა: სსრ კავშირის დაშლა მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი გეო-სტრატეგიული კატასტროფა იყო!**

მოჩვენებითი „მეგობრული“ თანამშრომლობის მიუხედავად, ამერიკა და რუსეთი, ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ფარული დევიზით — **ვინ-ვის?** ეპაექრებიან ერთმანეთს და ამ პაექრობის, ახლა უკვე რუსეთ-საქართველოს აშკარა ომის პოლიგონად ბედკრული საქართველო აქციეს!

ამიტომაც დაიმსახურა მიხეილ სააკაშვილმა ვერცხლის მედალი იდიოტური განუსჯელობისთვის, ამერიკამ კი, უფერული ბრინჯაო — გასაოცარი სიბეცისთვის.

არც მეტი, არც ნაკლები — **ამერიკა და ევროპა ზედმეტად შეურაცხყოფილი აღმოჩნდნენ საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის გამო. სააკაშვილის განუსჯელობა განუსჯელობად დარჩეს, მაგრამ დასავლეთს არ ეგონა თუ რუსეთი ამდენს გაბედავდა, ოცდამეერთე საუკუნეში იმპერიულ კლანჭებს ასე აილესავდა და ლამის მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდებოდა.**

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ რუსეთი უკან არ იხევს. ცეცხლის შეწყვეტა და ნიკოლა სარკოზის გეგმის ნაწილობრივ აღსრულება დროებითი ნაბიჯია... რუსეთმა სცნო აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა, მალე გააფორმებს სამხედრო-სტრატეგიულ თანამშრომლობას, რუსული ბაზებით გაძეძგავს (3800-3800 კაციძ იქაურობას და როცა ყველაფერი „მიწყნარდება“, დაუნდობლად მოგვიწყობს ახალ პროვოკაციას... ამიტომაც არ გაჰყავს ჯარი ენგურჰესის მიმდებარე ქართული ტერიტორიებიდან, საჩხერის რაიონის სოფელ პერევიდან და ახალგორიდან — ქსნის ერისთავების ძირძველი ქართული მიწიდან... გუშინ და გუშინწინ სერგეი ლავროვიც (სომხის ბიჭი სეროჟ ქალანტაროვიძ „ოფიციალური ვიზიტით“ სტუმრობდა სოხუმს და ცხინვალს, ტერიტორიებით გაუმაძღარი რუსეთის „ელჩები“ უნდა დანიშნოს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ ქართულ მიწა-წყალზე.

**რუსეთს არაფრის არ რცხვენია, არც არასოდეს შერცხვება! ამიტომაც, საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად რაც აქამომდე გაკეთდა (გულწრფელი მადლობა ევროპას და ამერიკას ამისთვის!) საქმის მხოლოდ ნახევარია ბარბარუსების შესაჩერებლად.**

**ელემენტარული დიპლომატიური ლოგიკის მიხედვით, რუსეთის აბსოლუტური ძალაუფლებით აბსოლუტურად გარყვნილი ხელისუფლება კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ ძირფესვიანად უნდა აილაგმოს. ცივილიზებულმა მსოფლიომ ეს უნდა შეძლოს.**

**სპარტაკ ქობულია**

◎ ინფორმაცია

## სერგეი ლავროვი - რუსეთი აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი და სრულფასოვანი სახელმწიფოს აღდგენის გარანტიას იძლევა



**რუსეთი** ხელს შეუწყობს აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, - იუწყება რადიო „ეხო მოსკვი“ სერგეი ლავროვის განცხადებაზე დაყრდნობით.

„მოსკოვი სოხუმთან სხვადასხვა სფეროებში დადებს რიგ შეთანხმებებს. რუსეთის საელჩო კი აფხაზეთში მუშაობას ახალ წლამდე დაიწყებს“, — განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, რომელიც სოხუმში იმყოფებოდა.

როგორც ლავროვმა აღნიშნა, „შეთანხმება გაითვალისწინებს რესპუბლიკის სრულად აღდგენის საკითხებს. მზადდება ასევე საბაჟო, საგადასახადო, სასაზღვრო, საბანკო და საფინანსო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებებიც.

— რუსეთი აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სრულფასოვანი სახელმწიფოს აღდგენის გარანტიას იძლევა, — განაცხადა ლავროვმა.

სერგეი ლავროვმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვარი უახლოეს მომავალში შეიძლება გახდეს გამჭვირვალე, ისე როგორც ევროკავშირის ქვეყნებს შორის არის.

ინტერპრესნიუსი

ქართული კულტურის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში

*ახლა, როდესაც რუსეთი, საქართველოს ცეცხლითა და მახვილით დალაშქვრის შემდეგ, ცდილობს ჩვენს წინააღმდეგ წააქეზოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, სამტროდ წაგვკიდოს ისინი, განსაკუთრებულ ქღერადობას იძენს ქართველ-ჩრდილოკავკასიელთა ეთნო-კულტურულ-ისტორიული ერთობა, რომლის ფესვებიც საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. ეს ფესვები ძალზე უხვად არის განტოტვილი: საერთო ძირები, კულტურა, ტრადიციები...*



*ამ ფესვებმა უნდა გაგვიცოცხლოს დავიწყებული წარსული და გაგვინათოს აწმყო. ეს უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ხაზი.*

*ამ თემაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ცნობილ არქეოლოგ-კავკასიოლოგს გივი ღამბაშიძეს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იკვლევდა ქართული კულტურის წრის ძეგლებს ალანეთში, ინგუშეთში, ჩეჩნეთში, დაღესტანში.*

*ბატონი გივი ღამბაშიძის წერილი ძირითადად იმეორებს დებულებებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის გამოცემულ ენციკლოპედიაში „ქართული ენა" დასტამბულ მის სტატიაში.*

# თარგამოსის შთამომავალნი

## შუასაუკუნეთა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის რელიგიურ-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის

*„...ქართველთა მონათესავე ჩრდილო-კავკასიელი ტომები,... სახელმწიფოებრივად ქართველობასთან იყვნენ დაკავშირებულნი და კულტურულად და სარწმუნოებრივადაც მათი ქვეყანა უცილობლად ქართული გავლენის სფეროსვე ეკუთვნოდა... თემურ-ლენგმა იმდენი ქნა, რომ, მანამდე ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული საქართველოსთან დამაკავშირებელი ქრისტიანობის მაგიერ, მაჰმადიანობა ჩაათესლა. ამის შედეგად იქაურობასა და საქართველოს შორის წინანდელი კავშირი შესწყდა, მათ შორის განკერძოება დაიწყო"...*

*ივანე ჯავახიშვილი.*

***არქეოლოგიურ, ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემთა გათვალისწინებით ცხადი ხდება ზედა პალეოლითში კავკასიის ეთნო-კულტურულ-ისტორიული ერთობის არსებობა, რომელიც მეზოლითსა და ნეოლითში წარმოშობილი დიფერენციაციით ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში დაშლით მთავრდება, ხოლო III ათასწლეულისათვის — კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებით.***

***უახლეს კავკასიოლოგიურ გამოკვლევათა ფონზე ყურადღებას იპყრობს XI ს. ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და მემატიანის ლეონტი მროველის ცნობები საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიის შესახებ და, მათ შორის, კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის კონცეფცია, რომლითაც ისინი ბიბლიური ნოეს შვილთაშვილის — თარგამოსის შთამომავლებად ცხადდებიან, ხოლო წილხვდომილი ქვეყნის საზღვრებად სახელდება: „აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია". კავკასიელთა საერთო წარმომავლობის მროველისეული კონცეფცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სავარაუდოდ, უძველეს ტრადიციასაც ასახავდა და, ამავე დროს, თავისი ეპოქის მსოფლმხედველობა-სულისკვეთებასაც გამოხატავდა. ნიშანდობლივია, რომ იგი გაცხადდა სამეფო დინასტიის — ბაგრატიონთა გვარის იზოთეისტურ (ღვთაებრივი წარმოშობის) თეორიასთან (იგი სათავეს IX-X ს.ს-ში, XI ს-ში კი, კანონიზებულ სახეს იღებს) ერთად — ძლიერი და ვრცელი, შავსა და კასპიის ზღვებს შორის ტერიტორიაზე საერთო-კავკასიური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორიულ ეპოქაში.***

***ადრეშუასაუკუნეთა მიწურულს კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურის სფეროებში (ფეოდალურ-ფორმაციული ძვრები, ჩრდილოელ მომთაბარეთა და სამხრეთელი ძლიერი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, ტრანსკავკასიური გზების ფლობა-გამაგრება, მთისა და ბარის ეკონომიკური კავშირები, ძირძველი ეთნო-კულტურული ურთიერთობანი, ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი — ეთნოფსიქიკური წყობა და სხვა) მიმდინარე იმანენტური პროცესებითა და საქართველოს სახელმწიფოს კავკასიური პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი კავკასიური სახელმწიფოებრიობის რელიგიურ-კულტურულ საფუძვლად ქრისტიანული რელიგია და კულტურა გვევლინება, რაც უფრო აახლოებდა საქართველოსა და იმიერკავკასიის ხალხებს ერთმანეთთან და აძლევდა საშუალებას გადაეწყვიტათ მათ წინაშე არსებული ისტორიული პრობლემები.***

ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ისტორიის შესწავლა კავკასიოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემაა, რომლის მთავარ მეთოდოლოგიას ისტორიის, ქრისტიანული არქეოლოგიის, კულტურის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, პალეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, ანთროპოლოგიის კუთხით საგნის კომპლექსურად კვლევა წარმოადგენს.

XVIII ს. მიწურულიდან იმიერკავკასიურ სივრცეში მკვლევართა თაობების მიერ გამოვლენილია ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის მრავალი მიწისქვეშა და მიწისზედა ძეგლი:

ნაეკლესიარ-ნატაძრალები გუმბათიანი — დასავლეთ იმიერკავკასიაში, ისტორიულ ალანეთში (მათი ბიზანტიური თუ ქართული წარმომავლობის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობააძ; ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ე. წ. „სამეკლესიანი ბაზილიკები" — ისტორიულ ალანეთსა და ინგუშეთში; უმეტესად კი გვხვდება დიდი და მცირე ზომის, ადგილობრივთაგანაც აგებული ე. წ. „დარბაზული" ეკლესიები, რომელნიც ზოგჯერ არ გამოირჩევიან არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ მნიშვნელოვანი არიან სოციოლოგიური კუთხით — გვაუწყებენ მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის საფუძვლიან გავრცელებასა და მის მსახურებაზე;

ქვის, ხისა და ლითონის მონუმენტური და მცირე პლასტიკის ძეგლები — ნაირგვარი ზომისა და ფორმის ჯვრები, მათი კვარცხლბეკები, ჯვართა გამოსახულებანი სამლოცველოებზე, ეკლესიის სახურავ კრამიტებზე, ქვის კვადრებზე, კოშკებზე, აკლდამებზე; გულსაკიდი და საეკლესიო დროშების ჯვრები, ეკლესიის კანკელების, ლავგარდანებისა და ხის კარების რელიეფები, ეკლესიის ექსტერიერის შემამკობელი რელიეფები, ბარელიეფები, ქვის ემბაზი და ა.შ.


წმიდა ღვთისმშობელი, XIIIს. ნუზალის სამლოცველო, ისტორიული დვალეთი (ჩრდ. ოსეთი)

საეკლესიო კედლის მხატვრობის ნიმუშები;

ადგილობრივ მცხოვრებთა სამარხ-სამაროვნები (აკლდამები, კლდესა და მიწაში ნაკვეთი, ქვებით ამოშენებული და ქვის ფიქლებით გადახურული და სხვაძ. არქეოლოგიურად ქრისტიანული დასაფლავების წესის დადასტურებასთან ერთად (სამარხების ეკლესია-ტაძრებთან არსებობა, სასაფლაოებზე ქვის ჯვრებისა თუ მათი გამოსახულებიანი ქვის სტელების აღმართვა, სამარხთა და მიცვალებულთა დამხრობა, პოზა, ძირითადში უინვენტარობა — მხოლოდ სამარხისა და ტანსაცმლისეული აქსესუარის არსებობა, გულსაკიდი ჯვრები და სხვაძ დიდი მნიშვნელობა აქვს ანთროპოლოგიურ მონაცემებსაც — „ოჯახურ" სამარხებში დედაკაცთა და ბავშვთა ჩონჩხების აღმოჩენა ასევე მიუთითებს მოსახლეობის ფართოდ ქრისტიანიზაციაზე.

ძირითადად სამლოცველო, სამშენებლო, ლიტურგიული შინაარსისა და ადგილობრივი სახელწოდებების აღმნიშვნელი, კრებსითად X-XVI სს.-ით დათარიღებული ძველქართული წერილობითი ძეგლები სამშენებლო ქვებზე, ქვის ჯვრებსა და ჯვართა გამოსახულებიან ქვის კვადრებზე; კლესიის კედლის მხატვრობაში ჩართული, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო კერამიკაზე, სეფისკვერის ქვის საბეჭდავზე, ეტრატსა და ქაღალდზე ხელნაწერები — ზოგი ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში საქართველოდან „მოხუმულია", უმრავლესობა კი, ადგილობრივ ხელოსან-კალიგრაფოსთა მიერაა შექმნილი, რაც მათ მიერ ძველქართულ დამწერლობათა - „ასომთავრულისა" და „ნუსხურის" კარგ ცოდნასა და ქართული დამწერლობისათვის დამახასიათებელ ტენდენციებში გათვითცნობიერებაზე მიუთითებს.

ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის ქართული კულტურის წრის ძეგლები, საისტორიო, ენობრივ (ქრისტიანული ლექსიკის, ონომასტიკის, ტოპონიმიკის არსებობაძ, ფოლკლორულსა და ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, ნათლად უჩვენებენ იმ ქვეყნებში ქრისტიანიზაციის ხარისხზე, ქრონოლოგიურ დიაპაზონსა და, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, იქ მოქმედ ეკლესია-ტაძრებში ქართულ ღვთისმსახურებასა და მოსახლეობაში ქართული ენისა და დამწერლობის ფართოდ გავრცელებაზე, რაც საფუძველს ქმნის, შუასაუკუნეების ეპოქის გარკვეულ პერიოდში რეგიონში ქართული დამწერლობისა და ენისა — ლინგვა ფრანკა — კოინე ენის სოციოლინგვისტური ფაქტის არსებობაზე ვისაუბროთ; თავის მხრივ, ისინი ასევე, ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ისტორიულ გეოგრაფიაზე (სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულსა და საეკლესიოზეძ, ონომასტიკა-ტოპონომიკასა და ა.შ შესახებ.

მნიშვნელოვანი კავკასიოლოგიური პრობლემის შესწავლის დღევანდელი დონის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია, როდესაც, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების შუასაუკუნეების მატერიალურ კულტურებში არსებული ჯვრებისა და მათი გამოსახულებების სემასიოლოგიური ანალიზისას, მკვლევართა ერთი ნაწილი გამოდიოდა მხოლოდ წარმართობის კონფესიური მონიზმის პოზიციიდან. იმ ქვეყნებში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან ჯვრების გამოსახულებათა სემანტიკა, ბუნებრივია, ქრისტიანულია, ნაწილობრივ კი, დუალისტურ-სინკრეტულიც: ჯვარი (სოლარული ნიშანიძ ( ჯვარი (ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოძ. საკითხი, თუ რომელი საფუძველი მძლავრობს, საჭიროა გაშუქდეს როგორც დროში (რომელ ეპოქაშია შექმნილიძ, ასევე სივრცეში (რომელ რეგიონში — ცენტრსა თუ პერიფერიაშიძ. ამასთანავე, ორივე განზომილებაში საგნის განხილვისას, გასათვალისწინებელია ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის გავრცელებულობის ხარისხი. რაც შეეხება ჯვრების გამოსახულებებს უდავოდ გვიანი პერიოდის სამშენებლო ქვებზე — ნადირობის სცენებში, მხედართა, ცხოველთა, „ბაბილონთა", ორნამენტის, ასტრალური ნიშნების ანტურაჟში და, ასევე, უტილიტარული დანიშნულების (ხე, ლითონი, ქსოვილიძ საგნებზე, მათი ნაწილი მისაჩნევია ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს ორნამენტულ რემინისცენციად.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის კვლევის ინტენსიფიკაციასთან ერთად, ბოლო ათწლეულებში მრავალი ახალიც გამომზეურდა (დაღესტან-საქართველოს გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი ბოლო აღმონაჩენთაგანია — მთიან დაღისტანში, ავარეთში, ქართული წყაროების „ლუნძეთში", მის დედაქალაქ ხუნძახს დამყურე აქაროს მთაზე, X-XIV სს. წმიდა თორმეტი მოციქულის სახელობის ტაძრის მიკვლევა, ძველქართულდამწერლობიანი ქვის ჯვრებითა და საინტერესო არქეოლოგიური მასალითძ, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია.


„ხოზიტა მად მარიამის" ეკლესია, XIს. დასაწყისი (ჩრდ. ოსეთი)

ასევე, დაიწყო ზოგიერთი ძველად აღმოჩენილის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე ხელახალი შესწავლა (ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო და, დღესაც არაა სწორად განსაზღვრული თუ რა ენაზე „საუბრობდნენ" ისინი, არაა გარკვეული მათი „გრამატიკული ძირები და დიალექტური სახეცვლილებანი", რაც არასწორ დათარიღებებსა და ინტერპრეტაციებს იწვევს; ხაზგასმითაა აღსანიშნავი: ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების ქრისტიანული პერიოდის კულტურებში ადგილობრივ ლოკალურ ნიშანთა და თვითმყოფადობის გამოვლენის ტენდენცია სწორი ისტორიოგრაფიული პოზიციაა, რაც განსაზღვრავს მის პერსპექტიულობასძ.

## ქართული კულტურის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში

მოხდა საკითხთა კონკრეტიზაციაც და საგნის მთლიანობაში გააზრებაც. გამოიკვეთა პრობლემის სიღრმისეული მოვლენები და მისი ახალი წახნაგები. უარყოფილია ძველი და მიღებულია ახალი ქრონოლოგიური ჩარჩოები. **უარყოფილია ის მტკიცება, თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ქრისტიანული რელიგია და კულტურა „ზედაპირული“, „უცხო“, „თავსმოხვეული“ მოვლენა ყოფილიყოს, ღრმად არ შეხებოდეს იმიერკავკასიელთა მსოფლმხედველობას, რითაც ფაქტობრივად არქაიზირდებოდა იმ ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული განვითარების დონეც და კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის ხარისხიც.**

ქართული არქეოლოგიური კავკასიოლოგიის მიერ 1970-1980 წწ. შემუშავებული ახალი მტკიცებულებით, არა XII-XIII სს., საქართველოს ფეოდალური მონარქიის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმაღლესი ძლიერების ეპოქაში – დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) – თამარის (1184-1213 წწ.) მეფობის დროს, როდესაც, საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა, არამედ, X ს-დან იწყება საქართველოდან იმიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ფართოდ გავრცელება-დამკვიდრება, რაც სათანადოდ აისახა კიდეც იმ ქვეყნების მატერიალურ კულტურებში. აქვეა აღსანიშნავი მოციქულთა დროიდან მოკიდებული, საუკუნეთა განმავლობაში, ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ადრინდელი ისტორიული ფაქტებიც.

საქართველოს გაერთიანებამდე (ბაგრატ III-ის ეპოქა - X ს. 60-იანი წლების დასაწყისი – 1014 წ.) ჩრდილო-დასავლეთ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი ბიზანტიასთან (ისტორიული ალანეთის ტერიტორიაზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ალანეთის სამთავრეპისკოპოსოს, შემდგომში კი, სამიტროპოლიტოს არსებობა) ერთად დასავლეთ-ქართული სამეფო-აფხაზეთია (აფხაზთა მეფის გიორგი II-ის – 922-957 წწ. – ამ მიმართებით გამორჩეული მოღვაწეობა), ცენტრალურსა და აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში - ქართლი და კახეთია, ხოლო, გაერთიანების შემდეგ – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაა. ამ ისტორიულ პროცესში განსაკუთრებითაა აღსანიშნავი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის როლი.

ცნობილია, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ადრეფეოდალური ხანის



„ტყობჲა-ჲერდას“ ტაძარი, X საუკუნის II ნახევარი, დასავლეთის ბარელიეფი

მიწურულს საქართველოს ეკლესიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანება-მშენებლობაში. ანალოგიური როლი შეასრულა მან საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დაახლოებაში. **X ს. ცნობილი ქართველი ღვთისმეტყველისა და მწერლის გიორგი**



„ტყობჲა-ჲერდას“ ტაძარი, X საუკუნის II ნახევარი, ინგუშეთი

**მერჩულისეული ქართული ეროვნული მთლიანობის დეფინიციის (ისტორიულ – გეოგრაფიულ-პოლიტიკურ) ენობრივ-კონფესიური ასპექტები) შემცველი ფორმულა - „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“, უკვე, X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში შეიძლება გავრცელდეს იმიერკავკასიაზეც.** საქართველოს საკათალიკოსო-საპატრიარქოს სტატუს კვო და იურისდიქცია, საფიქრებელია, გაცხადდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I (1012-1030, 1039-1045 წწ.) „აღმოსავლეთის პატრიარქად“ სახელდებაში ტყობჲა-ჲერდას ტაძრის ლაპიდარულ წარწერაში. ეს, გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსა და გაერთიანებული ქართული ეკლესიის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ორი საკათალიკოსოს, აგრეთვე ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კავკასიისა და სომხეთის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიებისგან იქმნება ერთიანი საპატრიარქო, რომლის მამამთავარი იყო მელქისედეკ I) სიძლიერე-სიდიდე-ავტორიტეტისა და ბიზანტიის იმპერიასთან, კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებთან როგორც ზოგად კონფესიურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა კონტექსტშია განსახილველი, ასევე, შესაძლოა, ჩრდილო კავკასიურ სივრცეში ინტერესთა შეჯახების გამომხატველიც.

**არსებული მასალები (საისტორიო-წერილობითი, არქეოლოგიური) საფუძველს ჰქმნის შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო იურისდიქციაში შემავალი იმიერკავკასიური სივრცე სამიტროპოლიტოებად და ეპარქიებად გაერთიანებულ სამწყსოდ წარმოვიდგინოთ - IV მსოფლიო საეკლესიო კრების დაკანონებით, საეკლესიო საზღვარი სახელმწიფოს საზღვარს ემთხვეოდა, საერო-ადმინისტრაციული დაყოფა საეკლესიოში აისახებოდა.** ასე, მაგალითად, XIV ს-ში გიორგი V ბრწყინვალისა (1314-1346 წწ.) და საქართველოს კათალიკოს ექვთიმე III-ის (1310-1325 წწ.) ეპოქაში, მთიანი დაღესტნის ტერიტორიაზე 3 საეპისკოპოსო (ხუნძახის, ანწუხისა და წახურის) სახელდება; XV ს-ში კი, ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირია ცნობილი. ამ პერიოდის ვითარებას თუ შევადარებთ X ს. დასაწყისში ცნობილი სპარსელი არაბულენოვანი სწავლულის იბნ რუსთის მიერ აღწერილს, რომელშიც სარირის (ავარეთის) მეფის ციხე-სიმაგრის მცხოვრებნი ქრისტიანებად, ხოლო ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა კი, წარმართად მოიხსენიება, ნათლად ჩანს, მაგალითად, მთიანი დაღესტნის ქრისტიანიზაციის პროცესი, მისი ინტენსიფიკაცია. ასევე შეიძლება საუბარი X ს. ინგუშეთში (ქართული წყაროების - „დურძუკეთი“) გიორგი ეპისკოპოსის მოღვაწეობის თაობაზე, რის შესახებაც გვაუწყებს იმავე ტყობჲა-ჲერდას ქრისტიანული ტაძრის ლაპიდარული წარწერები; აქვე აღვნიშნავთ, ისტორიულ „ღუნძეთთან“, „დურძუკეთსა“ და „ღლიღვეთთან“ (ჩეჩნეთი) მიმართებაში აღნიშნულ საკითხთა გარკვევისათვის მნიშვნელოვანია კახეთის მეფის კვირიკე III დიდის (1010-1029 წწ.) მიერ კახეთ-ჰერეთში ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმის მონაცემების



ძველქართული წარწერა ქვის ჯვარზე, XII-XIIIსს. (დაღესტანი)

გათვალისწინება, რასაც გვაუწყებს XVIII ს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი (ამ რეფორმით, „დურძუკეთი“ და „ღლიღვეთი“ კახეთის მეორე-კვეტერის საერისთაოში, „ღუნძეთი“ კი, ჰერეთის მესამე-მაჭის საერისთაოში შემავალი ქვეყნებია); საყურადღებოა აგრეთვე მისი მონაცემები ნიქოზის საეპისკოპოსოს ოსეთ-დვალეთთან დაკავშირებით.

არსებობს საფუძველი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის არსებობა ოფიციალურ-კლერიკალურ ხარისხშიც მივიჩნიოთ, რომელიც ახლოს იყო კანონიკურ ნორმებთან და, რომელიც შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების მაღალი დონის პირობებში, თუ მას ამკვიდრებს ეკლესია და მხარს უჭერს სახელმწიფო ხელისუფლება.

კავკასიის ინტეგრაციის ისტორიული ევოლუციური პროცესი შეწყდა თათარ-მონღოლთა და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ. წარმოიშვა სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული რეგრესი. განვითარდნენ ცენტრიდანული ძალები, რომელთაც დაშალეს არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ, მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. ბუნებრივია, იშლება კონფესიურ-კულტურული ერთიანობაც და ირღვევა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის საფუძვლებიც (შემდგომში, ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის ცალკეული ისტორიული პარადიგმები აღარ წარმოადგენდა მოვლენის ევოლუციური განვითარების შედეგს, რადგანაც, ისტორიული საფუძველი მას აღარ გააჩნდა). ჩრდილო-აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში (დაღისტანი) ვრცელდება და მკვიდრდება ისლამი, რომელმაც ახალი პოლიტიკურ-სოციალური და რელიგიურ-კულტურული ტენდენციები წარმოშვა, ცენტრალურსა და დასავლეთ იმიერკავკასიაში კი მის გავრცელებამდე, ნაწილობრივ რესტავრირდებიან წარმართული კულტები, რომლებიც ქრისტიანობასთან სინკრეტულად არსებობენ. ამ გარდამავალმა პერიოდმა წარმოშვა იქ, გვიან შუასაუკუნეებში, არაკანონიკური არქიტექტურა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ნახევრადქრისტიანულ-ნახევრადწარმართულ“ სამლოცველოებად მოიხსენიებენ და, რომელთაც, კანონზომიერია, ვერ ვხვდებით დაღესტნის მთებში.

მეთოდოლოგიურად მცდარად უნდა ჩაითვალოს, როდესაც, გვიან შუასაუკუნეებში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ახდენენ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში X-XIV სს. რელიგიურ-კონფესიური რეალობის რეკონსტრუქციას. როგორც ითქვა, ამით ხდება ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ისტორიული (საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული) განვითარებისა და კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის მაღალხარისხოვნების უგულებელყოფა.

დასასრულ, ისიც აღსანიშნავია, რომ **XIX-XX სს-ის ემპირიული მონაცემები ნათლად მიუთითებენ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ადგილობრივ მცხოვრებთა მოწიწებასა და რიდს თავისი ისტორიის ქრისტიანული პერიოდისა და მისი კულტურის ძეგლების მიმართ, რაც, ეთნო-კულტურული ტრადიციის, სულიერი მემკვიდრეობითობისა და კულტურის ეკოლოგიის მნიშვნელოვან, საყურადღებო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს.**

გივი ღამბაშიძე.



„დათუნას“ ეკლესია, X-XIIსს. მიჯნა (დაღესტანი)

## ინფორმაცია

### დაღუპულთა რაოდენობა ცნობილია, უგზოუკვლოდ დაკარგულთა კი...

**ჯანდაცვის, შს და თავდაცვის სამინისტროებმა რუსული აგრესიის დროს გარდაცვლილ თანამშრომელთა ნუსხა გამოაქვეყნეს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა განაცხადა, ჯანდაცვის სამინისტ-**



**როს ამჟამინდელი მონაცემებით, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას 188 სამოქალაქო პირი დაიღუპა. მათი დიდი ნაწილი რუსული ავიაციის მიერ განხორციელებულ დაბომბვებს ემსხვერპლა.**

**– დღეისათვის ჯანდაცვის სისტემაში 188 მოქალაქეა იდენტიფიცირებული. ცნობები შეჯერებულია ადგილობრივ თვითმმართველობასთან კოორდინაციის შედეგად. მათი უმეტესობა დაბომბვების შედეგად გარდაიცვალა. რამდენიმე ადამიანი დაიწვა. დაფიქსირდა შიშის ნიადაგზე გულით გარდაცვალების შემთხვევებიც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არის ადგილები, სადაც შეღწევას ვერ ვახერხებთ, – განაცხადა კვიტაშვილმა.**

**შს მინისტრის მოადგილის ეკა ზღულაძის განცხადებით, შსს-მ აგვისტოს მოვლენებისას 14 თანამშრომელი დაკარგა. აქედან 6 უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.**

**თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელიას განცხადებით, კი საქართველოს თავდაცვის უწყებამ საომარი მოქმედებების შედეგად 168 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა.**

**ქუთელიას განცხადებით, 154 დაღუპულის ცხედარი უკვე გადმოასვენეს. ამათგან 110-ის იდენტიფიცირება მოხდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

### აფხაზებმა კიდევ ერთი ქართველი მოკლეს

**აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 65 წლის ანატოლი გობეჩია მოკლეს.**

**აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლის თორნიკე კილანავას განცხადებით, გობეჩია, რომელიც სოფელ ოტობაიადან ზემო ბარღებში მიდიოდა, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა მოკლეს.**

**ანატოლი გობეჩია ოტობაიაში ნათესავებთან იმყოფებოდა და სახლში ბრუნდებოდა. მას ტყვია თავში აქვს მოხვედრილი.**

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრეზიდენტი თავის თავდასხმას 2005 წლიდან ამზადებდა



**საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის სიტყვებით, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი საფრანგეთში მიიღო, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ 2005 წლიდან აპირებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული პროვინციების სამხედრო ძალით დაბრუნებას.**

ირაკლი ოქრუაშვილი 2004-დან 2006 წლამდე იყო თავდაცვის მინისტრი, ახლა პოლიტიკური დევნილის სტატუსით იმყოფება საფრანგეთში, ბრალს სდებს თავის ყოფილ შეფს იმაში, რომ მან დაუყოვნებლივ დაიწყო ეს სამხედრო ოპერაცია, რითაც მოახდინა რუსეთის პასუხის პროვოცირება, პასუხისმგებლობას კი ამ ჩავარდნისთვის ვაშინგტონს აბრალებს.

„აფხაზეთი იყო ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტი, მაგრამ 2005 წელს ჩვენ დავიწყეთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დაბრუნების სამხედრო პროექტების დამუშავება“, – განაცხადა მან „როიტერისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

სააკაშვილი გვარწმუნებს, რომ რუსეთმა მოახდინა კონფლიქტის ინიცირება.

რუსეთი დათანხმდა, გამოიყვანოს ჯარები საქართველოდან, მაგრამ არა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, რომლებმაც გამოაცხადეს მოსკოვის მიერ აღიარებული დამოუკიდებლობა.

ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც დაიბადა სამხრეთ ოსეთში, აკრიტიკებს სააკაშვილის ინიციატივას და მას ნაჩქარევს უწოდებს, რასაც არ გააჩნდა დიპლომატიური მხარდაჭერა და იყო არარეალისტური სამხედრო თვალსაზრისით.

„სააკაშვილის თავდასხმის ერთადერთი მიზანი იყო ცხინვალის ხელში ჩაგდება, ვინაიდან ის ფიქრობდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დიპლომატიური არხებით ხელს შეუშლიდა რუსეთის პასუხს“, – დაუმატა მან.

ეს ჩავარდნა გარდაუვალი იყო. „2006 წლის შემდეგ ჩვენ არ გაგვაჩნდა არავითარი შანსი წარმატების მიღწევისა სამხედრო საშუალებით. რუსებმა მოახდინეს ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ინფრასტრუქტურის პერედისლოკაცია და სრულყოფა – რასაკვირველია, მათ ეს გააკეთეს ჩვენს გამო“.

ოქრუაშვილის დაპატიმრება 2007 წელს გახდა არეულობის მიზეზი, რასაც ნოემბერში მოჰყვა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, შემდეგ კი ვადამდელი არჩევნები, რომლის დროსაც სააკაშვილი კვლავ იქნა არჩეული პრეზიდენტად. ოქრუაშვილი უარყოფს მისთვის წაყენებულ ბრალდებებს. მას მიაჩნია, რომ ვაშინგტონმა შეცდომა დაუშვა, როდესაც მხარი დაუჭირა მის ყოფილ შეფს 2007 წლის შემდეგ.

LE POINT



## დიმიტრი მედვედევი:

# „რუსეთში დიდ გადაწყვეტილებებს მე ვღებულობ“

***რუსეთის ახალი პრეზიდენტი საქართველოსა და მისი დასავლელი მფარველების მისამართით მკაცრი საჯარო გაფრთხილებით გამოვიდა: მან განაცხადა, რომ ამ ქვეყნის ნატოში გაწევრება ვერ აიძულებდა რუსეთს გასულ თვეს, უარი ეთქვა სამხედრო ძალის გამოყენებაზე – და ვერც აიძულებს მას, თუ მსგავსი ვითარება წარმოიშვება მომავალშიც. ამას გარდა მედვედევმა პირდაპირ დასდო ბრალი შეერთებულ შტატებს იმაში, რომ ამ კრიზისის რეჟისორობა ეკუთვნის ამერიკას.***

დიმიტრი მედვედევმა გამოთქვა აგრეთვე უკმაყოფილება იმით, რომ ომმა მას მთელი თვე წაართვა, რის გამოყენებასაც იგი აპირებდა საშინაო საკითხების გადაჭრისთვის, რომლებიც შეეხებოდა, კერძოდ, ანტიკორუფციულ კანონმდებლობას საკუთრების შესახებ და რომელთა მიზანიც იყო რუსეთში „ნორმალური“ საქმიანი კლიმატის შექმნა.

რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც სრულუფლებიანი მოვალეობის შესრულებას შეუდგა მხოლოდ მაისში, უპასუხებდა დასავლეთის მიმომხილველების შეკითხვებზე. ისინი სამი საათის განმავლობაში აწარმოებდნენ პრემიერ-მინისტრისა და ყოფილი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის „დაკითხვას“. და, თუმცა, პარასკევის პრესკონფერენციაც მიმდინარეობდა გამორჩეული სადილის დროს, წამოჭრილი საკითხების სპექტრი იყო ამომწურავი, მედვედევი კი გამოთქვამდა თავის შეხედულებებს საერთაშორისო ტრიბუნიდან, თვალში საცემი მაინც იყო არაშემთხვევითი სხვადასხვაობა.

თუ პუტინი თეთრ კოსტიუმში ღებულობდა სტუმრებს შავი ზღვის სანაპირო საკურორტო კომპლექსში, მედვედევი მუქ კოსტიუმში აწყობდა ლონისძიებას გუმის (მოსკოვის სახელმწიფო უნივერმაღიძ ზედა სართულის საბანკეტო დარბაზში. მიზეზი, როგორც პრეზიდენტმა განმარტა, ღონისძიების აქ ჩატარებისა არის ის, რომ კრემლში არ არის ასეთი შეხვედრისათვის შესაფერისი დარბაზი. თუ პუტინის პოლიტიკური პოზიცია გახდა რამდენადმე რბილი იმასთან შედარებით, როგორსაც ყველა მიეჩვია, მედვედევმა შეძლო გაერღვია უფრო ვიწრო საზღვარი: ერთი მხრივ, განაცხადა საქართველოსთან ურთიერთობის მეტად მკაცრი პოზიცია, და მეორე მხრივ, შეექმნა მიმზიდველი და კეთილგანწყობილი რუსეთის სახე, რომელსაც სურს დაიკავოს თავისი ადგილი თანამედროვე, კომერციული ურთიერთობით გაჟღენთილ მსოფლიოში.

პუტინისაგან განსხვავებით მისი კრემლში პირველი წლების ყოფნის დროს, მედვედევი, როგორც ეტყობოდა, თავს გრძნობდა შეკრებილ საზოგადოებაში სავსებით თავისუფლად.

მიუხედავად ამისა, გასაოცრად გაისმოდა მისი უკომპრომისო რიტორიკა ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრებასთან დაკავშირებით. როდესაც საუბრობდა 8 აგვისტოს ღამის პირველი საათის შესახებ, როდესაც აცნობეს ქართული ჯარების შესვლის შესახებ სამხრეთ ოსეთში (ის მაშინ ვოლგაზე ისვენებდაძ, მან აღნიშნა: ვიდრე დაიწყებდა მოქმედებას, დაელოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მაგრამ, როგორც კი გაჩნდა ცნობა მსხვერპლის შესახებ სამშვიდობოებსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის, მას არჩევანი აღარ რჩებოდა.

**მერი დეჟევსკი**

THE INDEPENDENT

# რა არის რუსეთთან რეალური პრობლემა

**დღეს, როდესაც თავისუფალი სამყარო ცდილობს ჩამოაყალიბოს საქართველოში რუსეთის ამასწინანდელ ინტერვენციაზე ეფექტიანი პასუხი, სავსებით ლოგიკურია, რომ ყურადღების ცენტრში რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიოს საერთაშორისო გაერთიანებამ ამ დემოკრატიული ქვეყნიდან ჯარების გამოყვანა. მაგრამ პოლიტიკოსებს ურჩევნიათ, დროებით შეეშვან ამ საქმეს და ანალიზი გაუკეთონ იმას, თუ როგორ მივიდა საქმე აქამდე.**

სიტუაცია საქართველოში – ეს არის რუსეთთან ურთიერთობაში წარუმატებელი პოლიტიკის კულმინაცია ცივი ომის დამთავრების შემდეგ. ფიასკოს მთავარი მიზეზია შინაპოლიტიკური თავისუფლებასა და საგარეო აგრესიას შორის განუყოფელი კავშირის იგნორირება. რუსეთის შიგნით იგორკებოდა დემოკრატია, მსოფლიომ კი უარი თქვა იმ მიდგომაზე, რაც ასეთი ეფექტიანი იქნებოდა ცივი ომის უკანასკნელ სტადიებზე, როდესაც კრემლთან ურთიერთობა უკავშირდებოდა სსრ კავშირის შიგნით თავისუფლების გაფართოებას.

ამ ორი პროცესის ერთმანეთთან დაკავშირების პრაქტიკა დაიწყო 1974 წელს ჯექსონ-ვენიკის შესწორების მიღების შემდეგ, რომელიც აყენებდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვაჭრობის პრეფერენცირებულ პირობებს სსრ კავშირიდან ემიგრაციის თავისუფლებასთან დამოკიდებულებაში. მისი გაგრძელება გახდა 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებანი, რომლებიც გვეხმარებოდნენ, გაგვემახვილებინა ყურადღება სსრ კავშირში ადამიანთა უფლებების დარღვევებზე, ხოლო აპოგეად იქცა პრეზიდენტ რეიგანის შესანიშნავი ზნეობრივი შორსმჭვრეტელობა, რომელმაც სსრ კავშირში ტირანიის ხარისხი გადააქცია ზესახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა ბარომეტრად. ამ პოლიტიკას ჰქონდა ბრწყინვალე წარმატება – მან მოახდინა მსოფლიო გაერთიანების აზრის მობილიზება იმისათვის, რომ ცივი ომი დამთავრებულიყო მშვიდობიანად.

ისტებლიშმენტის წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევაში დასცინოდნენ რადიკალურ იდეას სსრ კავშირის შიგნით მეტამორფოზის ინიცირებისათვის საგარეო პოლიტიკური ზემოქმედების გამოყენების გზით. ჩემთვის, საბედნიეროდ, და სხვა მილიონობით ადამიანების საბედნიეროდაც, ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ დემოკრატი სენატორი ჰენრი ჯექსონი და რესპუბლიკელი რეიგანი, სხვა აზრისანი იყვნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი მეტამორფოზა არათუ შესაძლებელია, არამედ კარდინალურადაც მნიშვნელოვანია მათი ქვეყნის უშიშროებისათვის. მათ სამართლიანად მიაჩნდათ, რომ რეჟიმები, რომლებიც პატივს არ სცემენ საკუთარი ხალხის უფლებებს, პატივს არ სცემენ თავის მეზობლებსაც.

1987 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიხეილ გორბაჩოვის პირველი ვიზიტის დროს, ჩემი გულაგიდან გათავისუფლების სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, მე ვეხმარებოდი ვაშინგტონში მასობრივი მიტინგის მოწყობას, სადაც წამოყენებული იყო მოთხოვნები „რკინის ფარდის“ მიღმა ჩამწყვდეული ებრაელებისათვის ემიგრაციის თავისუფლების მინიჭების შესახებ. ზოგიერთი ჩემი ამხანაგი – ორგანიზატორი ღელავდა, რომ მიტინგმა შეიძლება არ გაამართლოს იმედები გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მათთვის სრულიად გაურკვეველი იყო, თუ როგორ აღიქვამდა ამ აქციას რეიგანი, ვინაიდან მას ჩამოუყალიბდა კარგი პირადი ურთიერთობანი ახალ საბჭოთა პრემიერთან (გორბაჩოვი იყო სკკპ-ს გენერალური მდივანი, – რედ. შენიშვნაძ.

მაშინ მე მოვითხოვე რეიგანთან შეხვედრა, რათა მისთვის პირადად დამესვა ეს შეკითხვა. ჩემს შეშფოთებაზე მან ლაკონურად განაცხადა: „თქვენ ფიქრობთ, რომ მე მაინტერესებს მეგობრობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, თუ იგი გააგრძელებს თავისი მოქალაქეების ციხეში ყოფნას? გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ“.



გარკვეულ მოთხოვნებთან ურთიერთობათა დაკავშირების პრაქტიკა, თუ მას სწორად იყენებენ, ვარაუდობს არა მხოლოდ „არას“ თქმას, არამედ იმისათვის მზადყოფნასაც, რომ ითქვას „დიახ“. თუ კრემლი წავა ლიბერალიზაციისკენ, მას მხარი უნდა დაუჭირო და ითანამშრომლო მასთან, ხოლო თუ იგი საპირისპირო მიმართულებით წავა, იგი უნდა დაისაჯოს და შეხვიდე მასთან კონფრონტაციაში. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს მკაცრი, მაგრამ პრინციპული პოლიტიკა ჩქარა გვერდზე იქნა მოსროლილი.

მაგალითად, როგორც ბევრს ეგონა, პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, წაიყვანდა რუსეთს პოზიტიური მიმართულებით. იგი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პირველ ხანებში ითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გააუქმოს ჯექსონ-ვენიკის შესწორება. ამ კანონმა თავის დროს ბრწყინვალე შედეგი მოიტანა: რუსეთელებს თავისუფლად შეეძლოთ გასულიყვნენ ქვეყნიდან და დაბრუნებულიყვნენ სურვილისდა მიხედვით. ამერიკელ კანონმდებლებს შეეძლოთ ეღიარებინათ ისტორიული ცვლილებები, რომლებსაც ხელი შეუწყო ამ კანონმა, და გაეუქმებინათ იგი. მაგრამ ამის ნაცვლად მათ დაუშვეს, რომ ამერიკელებმა, რომლებიც ლობირებას უწევდნენ სოფლის მეურნეობას, გამოიყენეს იგი, როგორც იარაღი რუსეთთან რძით ვაჭრობის დავაში. ყველა ჩვენგანი, ვინც დიდი ფასი გადაიხადა ამ შესწორების მხარდაჭერისთვის, დაბნეული ვიყავით. კრემლის ხელმძღვანელობის თვალში ამან „გვიჩვენა“, რომ ჰიპოტეტური იდეალიზმი, რომელიც მხარს უჭერდა შესწორებას, თავიდანვე იყო საფარი ცინიკური თვითანგარებისთვის.

იმ ფონზე, როდესაც პუტინი სულ უფრო თამამად აჩვენებდა დემოკრატიულ რეფორმებს, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელში ჩაგდებით გადადიოდა დამოუკიდებელი ჟურნალისტებისადმი მუქარაზე და მრეწველობის მთელი რიგი დარგების ნაციონალიზაციაზე – მინიშნებანიც კი არ იყო პროტესტებზე. როდესაც მან უხეშად დააპატიმრა მიხეილ ხოდორკოვსკი, მილიარდერი და პრეზიდენტის პოსტისათვის ბრძოლაში პოტენციური მოწინააღმდეგე, კრემლში ზოგიერთი ძალა ვარაუდობდა სერიოზულ ნეგატიურ შედეგებს. მაგრამ ნდობა ასეთი მრჩევლების მიმართ მალე შეირყა, როდესაც დასავლეთის დემოკრატიის ლიდერებმა დაიწყეს ფუჭი ფრაზების წარმოთქმა ადამიანთა უფლებებისა და დემოკრატიის პატივისცემის შესახებ და დაიწყო პრინციპის „ბიზნესი ბიზნესია“ ზეიმი.

საფრთხე, რომელიც საქართველოს, რუსეთისა და ამერიკის სხვა დემოკრატიულ მეზობლებს დაემუქრა, საბოლოო ჯამში, წარმოიშვა რუსეთის შიგნით დემოკრატიის დეფიციტის გამო. დღეს სახელმწიფო მოღვაწეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, რომ შეიცვალოს ეს ვითარება – თუ გვინდა უზრუნველვყოთ, რომ ხვალ კრემლი აღარ წარმოადგენდეს საფრთხეს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

**ნათან შარანსკი,**
წარსულში საბჭოთა დისიდენტი, აბელსონის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის თავმჯდომარე

The Washington Post

სულიერი თანამგზავრები

# სიბრძნე, რომელიც არ ბერდება

წიგნიერი საქართველო კარგად იცნობს ჩინელი ბრძენთაბრძენი პოეტის ლაო-ძის გენიალურ ქმნილებას **„დაო დე ძინს“**. ძველი ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულება, შობილი ჩინეთში ოცდაექვსი საუკუნის წინათ, კაცთა მოდგმის სულიერ ცხოვრებაში საღმრთო გამოცხადებად აღიარებული, უნიკალური ძეგლია არა მხოლოდ ჩინურ, არამედ საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში. ის მაგიდაზე ედოთ არა მხოლოდ ჩინეთისა და აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის ხელისუფალთაც. თუ რა ღირებულების იყო წარსულში ეს სიბრძნის წიგნი, ამას ერთი ფაქტიც მეტყველებს: შუასაუკუნეებში, როდესაც ერთ-ერთმა იმპერატორმა ბრძოლა გამოუცხადა დაოიზმს და ყველა დაოსური წიგნი ცეცხლს მისცა, მხოლოდ „დაო დე ძინს“ ვერ შეეხო, როგორც წმიდათაწმიდა წიგნს.

სწორედ მისი ამ უნივერსალიზმით იყო ნაკარნახევი ლერი ალიმონაკის მიერ ქართულ ენაზე ამ თხზულების თარგმნა.

თარგმანი შესრულდა 1976-1982 წლებში და ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით პირველად 1983 წელს გამოქვეყნდა. ეს გახლავთ წლები, როდესაც ცენზურა ჯერ კიდევ მძლავრობდა, თუმცა ლაო-ძის გენიალური თხზულება ამის შემდეგ კიდევ ორჯერ გამოიცა – 1989 და 1998 წლებში.




„დაო დე ძინი“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ლერი ალიმონაკს კი ამ თარგმანისათვის 1995 წელს მიენიჭა დიდი ქართველი მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის პრემია.

სიბრძნე, თუ ის ჭეშმარიტი სიბრძნეა, არ ბერდება – ის ყოველ ეპოქას თავისებური ნიშნით ეხმაურება. „დაო დე ძინიც“ ამგვარ ქმნილებათა რიგს განეკუთვნება. ამიტომ არის ის მარად თანამედროვე ქმნილება, ხოლო მისი შემოქმედი – უკვდავი და მრავალჟამიერი.

მოდით კიდევ ერთხელ გადავშალოთ ეს სიბრძნის წიგნი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მაჩუქა ჩემმა ლერი ალიმონაკმა და ვნახოთ, როგორ ეხმიანება იგი ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, მივდიოთ მის მცნებებს და იქნებ სამომავლოდ გავითვალისწინოთ კიდეც.

თუმცა მე, პირადად, დიდი იმედი არ მაქვს ლაო-ძის მცნებებით იაროს დღევანდელ ქართველთა უმრავლესობამ და, მეტადრე, ყოყლოჩინა, არაფრისმაქნისმა, ხელისუფლებამ.

**თუ დარბაზონი განძეულით გაქვს ავსილი:**
**არავის ძალუძს მისი დაცვა.**
**თუ მდიდარნი და დიდებულნი**
**მედიდურობენ:**
**თავად იუბედურებენ თავს.**
*** * ***
**შიშით იხვეჭენ კაცნი დიდებას**
**და შიშითვე კარგავენ მას.**
*** * ***
**კეთილია ხელმწიფე:**
**ვინცა დუმს და არას ითხოვს**
**ხალხისაგან**
**უკეთურია ხელმწიფე:**
**ვინცა სიყვარულსა და დიდებას მოითხოვს**
**ხალხისაგან.**
**შლეგია ხელმწიფე:**
**ვის წინაშეც ძრწის ხალხი.**
**გულბოროტია ხელმწიფე:**
**ვინცა ეზიზღებათ.**
*** * ***
**ჭეშმარიტად:**
**ვისაც არა სწამს, არც ის სწამთ.**
**ურწმუნობაა ძირი ურწმუნობისა.**
*** * ***
**აღიკვეთეთ ცრუბრძნობა და**
**ცრუმეტყველება**
**და ასგზის ბედნიერი იქნება ხალხი.**
*** * ***
**არ დიდკაცობს: ამიტომ ადიდებენ,**
**განდიდებას არ მიელტვის:**
**ამიტომ მოძღვრობს კაცთა შორის.**
**არ მძლავრობს და უძლეველია**
**ცისქვეშეთში.**
*** * ***
**ვინცა განდიდებას მიელტვის:**
**ვერ გაწინამძღვრდება.**
*** * ***
**ყოვლადბრძენი მფარველია და**
**თანალმობელი ხალხისა:**
**ხალხი ამიტომ არ არის უთვისტომოდ.**
*** * ***
**ვინცა მძლავრობით ეუფლება სამყაროს:**
**აქედანვე ვჭვრეტ – ვერ მიაღწევს**
**საწადელს.**
*** * ***
**ყოვლადბრძენი უარყოფს განდიდებას.**
**ყოვლადბრძენი უარყოფს ფუფუნებას.**
**ყოვლადბრძენი უარყოფს ბრწყინვალებას.**
*** * ***
**რასაც მიაგებ, იმასვე მოგაგებენ.**
*** * ***
**ქველი მხედართმთავარი იმარჯვებს**
**და ჩერდება.**
**იმარჯვებს და არ მძლავრობს.**
**იმარჯვებს და არ მედიდურობს.**
**იმარჯვებს და არ იმონებს.**
**იმარჯვებს და არ ქედმაღლობს.**
*** * ***
**აღჭურვილ ლაშქარს უბედურება მოაქვს.**
**ყოველ არსებას სძაგს იგი.**
*** * ***
**ვინცა ზეიმობს გამარჯვებას:**
**ზეიმობს კაცთა კვლას,**
**ვინცა ზეიმობს კაცთა კვლას:**
**ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს.**
*** * ***
**ყოვლადბრძენიც არ დიადობს.**
**დიად საქმეებს იქმს და:**
**არ დიადობს.**
**არ დიადობს და:**
**ამიტომ არის დიადი.**
*** * ***
**ნუ იბრწყინებ, ვითარცა ბრილიანტი**
**იყავ უბრალო, ვითარცა ქვა.**
*** * ***
**კაცნი დიადობენ, ოდეს მდაბლდებიან,**
**და მდაბლდებიან, ოდეს დიადობენ.**
*** * ***
**ძლიერნი და ულმობელნი –**
**არ კვდებიან ბუნებითი სიკვდილით.**
*** * ***
**სამყარო მშვიდია.**
**ყველაზე რბილი სძლევს:**
**ყველაზე მაგარს.**
*** * ***
**ვინცა ბევრს მონაგრობს**
**ბევრს ზარალობს.**
**ვინცა ბევრს იხვეჭს**
**ჭეშმარიტებას კარგავს.**
*** * ***
**უფრო დიდი ცოდვა არაფერია:**
**ვიდრე ვნებააშლილობა.**
**უფრო დიდი უბედურება არაფერია:**
**ვიდრე სიხარბე.**
**უფრო დიდი დანაშაული არაფერია:**
**ვიდრე მომხვეჭელობა.**
*** * ***
**სამეფო კარი თუ ბრწყინვალებს.**
**მინდვრები გადახრიოკებულია.**
**ბეღლები გამოცარიელებულია.**
**დიდებულნი თუ ძვირფასეულით**
**შემოსილან,**
**ბრწყინვალე საჭურვლით შეჭურვილან,**
**უკადრისობენ მდაბიურ სუფრას**
**და ფუფუნებაში ყელამდე ჩაფლულან:**
**ეს ავაზაკობა და ზვიადობაა.**
*** * ***
**ბრძენი დუმს,**
**უმეცარი ქადაგებს.**
*** * ***
**ყოვლადბრძენი არავის ვნებს:**
**არც მას ვნებს ვინმე.**
*** * ***
**ვინცა დაეუფლა დათმენას:**
**ხელმწიფებს ხალხს და მსახურებს ცას.**

საქმე



# რას ჰპირდება უმცროსი ვაჟიშვილი ნუკრი კელაპტრიშვილს

**ახალგაზრდა კაცი შემოვიდა რედაქციაში და სამგლოვიარო განცხადების გამოქვეყნება გვთხოვა. ალმასივით ბიჭი დავკარგეთ მოულოდნელად — შალვა აბესაძე — ჩვენი ანსამბლის სული და გული იყოო, გვითხრა გარშემო მყოფთ.** თქვენ ვინ ბრძანდებით, რომელ ანსამბლზე ამბობთ-მეთქი. ნუკრი კელაპტრიშვილი ვარ, ხალხური საკრავების საბავშვო ანსამბლ „კელაპტარის“ ხელმძღვანელი, ცხონებული ომარ კელაპტრიშვილის ბიძაშვილიო — მეუბნება. გამიხარდა, ომარ კელაპტრიშვილი — სახელგანთქმული მესალამურე, მუსიკოსი, მომღერალი... ჩემი მეგობარი იყო, კარგა ხნის წინათ, გაზეთ „კომუნისტში“ წერილიც დავბეჭდე მის შემოქმედებაზე — „მესალამურე ბიჭის ამბავი“. კარგია, ომარის გზას რომ გაჰყოლიხართ, ხალხური საკრავების „მოთვინიერების“ რა ნიჭი გაქვთ ასეთი, კელაპტრიშვილებს-მეთქი. ომარმა „მომწამლაო“, ომარს ვბაძავდიო, ერთი განსხვავება ის არის ჩვენ შორის, რომ მე თვითონ ვამზადებ ხალხურ საკრავებს — სალამურს, ფანდურს, დუდუკს, ზურნას, დოლს, დიპლიპიტოს...

— ჰოდა, აბა, მოდი და ნუ გაიცნობ ასეთ კაცს ჟურნალისტი. ჩამოვსხედით იქვე და სხვა რალაცებიც ჩავიწერე ნუკრი კელაპტრიშვილისგან.

მისი ფესვი ზემო ხანდაკშია. წინაპრებიც კელაპტარივით იწვოდნენ ხალხური მუსიკის, ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტების სიყვარულში. გვერდით დაიყენა ომარმა ნიჭიერი ბიძაშვილი, 17 წლისას უკვე პედაგოგობა ანდო თავის ანსამბლში. ნუკრი ამჟამად უკვე თვითონაა თბილისის 24-ე საშუალო სკოლასთან არსებულ ბავშვთა ანსამბლ „კელაპტარის“ ხელმძღვანელი.





ახლახან ნუკრი კელაპტრიშვილმა გამოსცა ქართული საკრავების კრებული ნოტებით სალამურისთვის, რაც, რა თქმა უნდა, დაეხმარება ნორჩებს ამ უძველესი ქართული ინსტრუმენტის დაუფლებაში.

ანსამბლ „კელაპტარში“გაერთიანებულია ხალხური ინსტრუმენტით დაინტერესებული ბავშვები. ისინი სწავლობენ სალამურზე, დუდუკზე, ფანდურზე, დოლზე... დაკვრას, მათი შექმნის ისტორიას ნუკრი მასწავლებელი უამბობს ნორჩენებს, ამით კი, ცხადია, ყოველივე ეროვნულისადმი სიყვარულსა და პატივისცემას უღვივებს.

— ზოგი ისე დაეუფლა ინსტრუმენტს, რომ უკვე სხვადასხვა ანსამბლში არიან მიწვეული, — მიამბობს ნუკრი, — ერთი დოესელი ბიჭი პირდაპირ აკვნესებდა სალამურს. ათენში წაიყვანა ახლობელმა, იქ ბიჭმა ფლეიტაც შეისწავლა და, იცით, როგორ?... უკვე მიწვეულია ათენის დიდ სიმფონიურ ორკესტრში, სადაც ხელფასი 4 ათასიდან 14 ათას ევრომდეა...

**— საკრავების დამზადება როგორ დაიწყეთ?...**

— ჩვეულებრივ... დამაინტერესა... ვიჯექი სოფელში აივანზე და ვთლიდი სალამურს, ფანდურს...

**— რომელი ხე უფრო გამოსადეგი?**

— ჭერმის... სპეციალურად ვარჩევ ჭერმის ხეებს... ერთხელ საგარეჯოდან ჩამომიტანეს, გამოვთალე სალამური, მაგრამ ვერ დაუკრა რიგიანად...

**— ალბათ, „კელაპტარშიც“ თქვენს დამზადებულ ინსტრუმენტებზე უკრავენ ბავშვები...**

— ცხადია... სხვა ანსამბლებშიც...

**— ნუ მიიღებთ უტაქტო კითხვად: არ ყიდით ხოლმე?**

— მქონდა რამდენიმე შემთხვევა... ისე, ვერიდები, ვჩუქნი ხოლმე ანსამბლებს, მეგობრებს...

**— შვილებს თუ აინტერესებთ ეგ საქმე?...**

— სამი შვილი მყავს... შვილიშვილებიც... უყვართ მუსიკა... უმცროსი ვაჟიშვილი ვანო განსაკუთრებითაა დაინტერესებული... არ გიღალატებ მამაო, მეუბნება...

— ყოჩაღ, კელაპტრიშვილებო!... ეგრე უნდა, მა რა!...

**სურათებზე: ბავშვთა ინსტრუმენტული ანსამბლი „კელაპტარი“; ინსტრუმენტის დამზადებისას ასე ეხმარება ნუკრი კელაპტრიშვილს უმცროსი ვაჟი ვანო, რომელიც ხანდახან თვითონვე ამზადებს ინსტრუმენტს.**

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

### კალათბურთი

# აი, გუნდი!



**ვერ გეტყვით, როგორი რეცეპტით შეუდგა შეგირდების დამოძღვრას საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი, მაგრამ ხორვატი სპეციალისტის ხელი რომ ბიჭების თამაშს სასიკეთოდ დაეტყო, ფაქტია.**

ეს რომ ასეა, ამას ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის სტარტზე სტუმრად მოპოვებული ზედიზედ სამი გამარჯვება მოწმობს.

ლუქსემბურგსა და ირლანდიაში იოლად მოგებულ მატჩებზე უკვე ინფორმირებულია ჩვენი გაზეთის მკითხველი, ამიტომ ამჯერად ბრატისლავაში მიღწეულ წარმატებაზე შევჩერდეთ.

წინა ტურში სლოვაკები დრამატულ ბრძოლაში ერთი ქულით დამარცხდნენ ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტთან – შვედეთის გუნდთან – 88:89. ეტყობა, სკანდინაველებთან დუელს მასპინძლებმა დიდი ძალა შეალიეს. სხვაგვარად ძნელია, რაიმე ახსნა მოუძებნო იმ უმწეობას, როგორც ისინი „ჯვაროსანთა“ წინააღმდეგ გამოიყურებოდნენ.

დაგვეთანხმებით, შეხვედრის შედეგი – 101:78 თვალნათლივ ასახავს ჩვენებურთა აშკარა უპირატესობას. პარტნიორთაგან შედეგიანობით გამოირჩეოდნენ ზაზა ფაჩულია – 27 ქულა, ტაირონ ელისი – 20 ქულა, ნიკა ცქიტიშვილი – 17 ქულა და ვიქტორ სანიკიძე – 16 ქულა.

ხვალ სტოკჰოლმში გაიმართება I წრის დასკვნითი ტურის ცენტრალური შერკინება: შვედეთი – საქართველო.

შეგახსენებთ, რომ გაისად ქართველი კალათბურთელები ოთხივე მეტოქეს თბილისში მიიღებენ.

### ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**რუსული აგრესიის გამო ერთი თვის დაგვიანებით დაწყებული XX ეროვნული ჩემპიონატი ხმაურიანი სტარტით აღინიშნა – უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „გაგრამ“ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს თბილისის „დინამოს“ სძლია – 2:1.**

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა პირველივე ტაიმში მოაგვარა საქმე – 2:0 (გაბედავა, მეტრეველი). საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა შესვენების შემდეგ მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა (ვაწაძე).

**I ტურის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „მგლები“ – „სიონი“ 0:1 (კაკაშვილი), „ლოკომოტივი“ – „მესხეთი“ 2:0 (ალექსიძე – 2), „ბორჯომი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:1 (ლიპარტია), „ოლიმპი“ – „ზესტაფონი“ 0:0. ისვენებდა „ცხინვალი“.

**დღეს და ხვალ დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური შეხვედრები გაიმართება, ხოლო ეროვნული ჩემპიონატის II ტურში ითამაშებენ:** „მგლები“ – „ბორჯომი“, „ვიტ ჯორჯია“ – „გაგრა“ (20 სექტემბერს), „მესხეთი“ – „ოლიმპი“, „სიონი“ – „ზესტაფონი“ და „დინამო“ – „ცხინვალი“ (21 სექტემბერს). ისვენებს „ლოკომოტივი“.





* * *

**იტალია. II ტური.** „ლაციო“ – „სამპდორია“ 2:0, „ბოლონია“ – „ატალანტა“ 0:1, „პალერმო“ – „რომა“ 3:1, „ჯენოა“ – „მილანი“ 2:0, „იუვენტუსი“ – „უდინეზე“ 1:0, „ინტერი“ – „კატანია“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლაციო“, „ატალანტა“ – 6-6 ქულა.

**ბომბარდირი:** სარატე („ლაციო“) – 3 გოლი.

**შემდეგი ტური:** „კატანია“ – „ატალანტა“, „მილანი – „ლაციო“.

**ესპანეთი. II ტური.** „უელვა“ – „ესპანიოლი“ 0:1, „ბარსელონა“ – „რასინგი“ 1:1, „რეალი“ – „ნუმანსია“ 4:3, „ალმერია“ – „ვალენსია“ 2:2, „ვალიადოლიდი“ – „ატლეტიკო“ 2:1, „სევილია“ – „ხიხონი“ 4:3.

**ლიდერი:** „ესპანიოლი“ – 6 ქულა.

**ბომბარდირი:** ბილიჩი („ხიხონი“) – 3 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ესპანიოლი“ – „ხეტაფე“.

**ინგლისი. IV ტური.** „სიტი“ – „ჩელსი“ 1:3, „ლივერპული“ – „მანჩესტერი“ 2:1, „ბლექბერნი“ – „არსენალი“ 0:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“, „ლივერპული“ – 10-10, „არსენალი“ – 9 ქულა.

**ბომბარდირები:** დეფო („პორტსმუთი“), ზაკი („უიგანი“) – 4-4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჩელსი“ – „მანჩესტერი“, „ლივერპული“ – „სტოკი“, „ბოლტონი“ – „არსენალი“.

**გერმანია. IV ტური.** „ჰამბურგი“ – „ლევერკუზენი“ 3:2, „კიოლნი“ – „ბაიერნი“ 0:3, „ბორუსია“ – „შალკე“ 3:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰამბურგი“ – 10, „ბაიერნი“, „შალკე“, „ბორუსია“ – 8-8 ქულა.

**ბომბარდირები:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი“), კისლინგი („ლევერკუზენი“), შვაინშტაიგერი („ბაიერნი“) – 6-6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვოლფსბურგი“ – „ჰამბურგი“, „ბაიერნი“ – „ვერდერი“, „შალკე“ – „აინტრახტი“, „ჰოფენჰაიმი“ – „ბორუსია“.

### ჭადრაკი

# ქალებს ფეხბურთის მსგავსად ითვლიდნენ



**დიახ, რატომღაც ფეხბურთის მსგავსად ითვლიდნენ ქულებს ბილბაოში გამართულ 21-ე კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირზე Final Chees Masters: გამარჯვება 3 ქულა, ყაიმი – 1. დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ბულგარელმა დიდოსტატმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა – 17 ქულა.**

მეცხრე ტურში ლიდერს, შეიძლება, წამოსწეოდა უკრაინელი ვასილ ივანჩუკი, მაგრამ ლევონ არონიანთან პარტიაში მან გამარჯვება ხელიდან გაუშვა მწვავე ცაიტნოტში, ზედმეტი პაიკი რომ ჰქონდა. ტოპალოვს ასევე ხელს არ აძლევდა ყაიმი ბოლო ტურში იმავე ივანჩუკთან, რადგან მაშინ მას, შეიძლება, თემურ რაჯაბოვთან გამარჯვების შემთხვევაში დასწეოდა არონიანი. მაგრამ ბულგარელმა დიდოსტატმა თავის თავს თვითონვე „მიხედა“ და ივანჩუკი ბრწყინვალედ წამოაჩოქა.

ამ ტურნირში გამარჯვებამ ვესელინ ტოპალოვს საპრიზო 150 ათასი ევროც მოუტანა და ეგრეთწოდებულ მიმდინარე რეიტინგში პირველი ადგილიც მოაპოვებინა.

### ძიუდო

# თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“

**ვარშავაში დამთავრდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა ბორის ფირცხელიანის ხელმძღვანელობით. ჩვენმა გუნდმა პოლონეთის დედაქალაქში თითო ოქროს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. განსაკუთრებით გვასახელა 19 წლის ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ), რომელმაც ხუთი მეტოქის დამარცხებას ათ წუთზე ნაკლები მოანდომა, რადგან იპონებით სძლია შვეიცარიელ მაიკ შავანეს, აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვს, რუს დმიტრი საველიევს, შვედ მარკუს ნიმანსა და იტალიელ პაბლო ტომასეტის.**



საგულისხმოა, რომ ლიპარტელიანმა შარშან ოცწლამდელთა ევროპის პირველობა მოიგო, ვენისა და მოსკოვის მსოფლიოს თასებზე გაიმარჯვა. მისი სახით საქართველოს ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება.

ბრინჯაოს მედალი ჩვენს გუნდს 55 კილოში გიორგი ბროლაშვილმა მოუტანა. ქართველმა ფალავანმა პირველ წრეში ავსტრიელ მათიას ჰოიმერს აჯობა, მერე რუმინელ კოსმინ ლაზარეანს იპონით მოუგო. მესამე წრეში გიორგი უკრაინის სახელით მოასპარეზე სურენ მკრტიჩიანთან დამარცხდა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში მან ზედიზედ სძლია გერმანელ კრისტოფ კობერლინს, პოლონელ მარსინ ვიდრჟინსკის, ლიტველ ანდრეი კლოკოვს და მესამე ადგილი დაიკავა.

ვარშავაში ქართველი გოგონებიც გამოდიოდნენ. ნაია ვეშაგური, მარიამ ტარუაშვილი და თინათინ ქულუსაშვილი პირველსავე წრეში დამარცხდნენ, ხოლო ნინო ოძელაშვილმა (78 კგ) ნახევარფინალამდე მიაღწია. შემდეგ კი ორჯერ დამარცხდა – უკრაინელ ივანა მაკუხასთან, პოლონელ კატარჟინა ფურმანეკთან და კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა.

### ინტერნეტიდან

## ტურნირის მთავარი მოვლენა



**ასეთად მიიჩნიეს შტუტგარტში გამართული მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გრან-პრის გათამაშების ფინალზე შუბის ტყორცნაში ჩეხი ბარბორა შპოტაკოვას მსოფლიო რეკორდი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა 58 სანტიმეტრით გააუმჯობესა ოსლეიდის მენენდესის ადრინდელი რეკორდი. მან პირველსავე ცდაზე შუბი 72. 28 მეტრზე სტყორცნა.**

უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში ჩეხეთი იყო ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში კანონმდებელი, იან ჟელეზნი კი მსოფლიო რეკორდსმენი (98.48 მ). სწორედ ჟელეზნის დაჟინებით 5 წლის წინათ შპოტაკოვამ, შვიდჭიდში რომ ასპარეზობდა, შუბის კვრაში გადაინაცვლა.

## საიუბილეო „საჩუქარი“

**ბუნებრივია, იუბილეზე საჩუქარი ყველას ახარებს. მაგრამ არ ვიცით, რამდენად გაიხარეს გერმანიაში ზემო ფრანკონიის პროვინციის A ლიგაში მოთამაშე „ფოროჰაიმის“ გულშემატკივრებმა თავიანი გუნდის „დიდი წარმატებით“.**

თურმე ამ გუნდს წლეულს ასი წელი უსრულდება, თუმცა ეს ბევრმა არ იცოდა. ამ ნაკლის „გამოსწორება“ თავად ფეხბურთელებმა ითავეს. მათ საიუბილეო სეზონის დაწყებიდან თავიანთ კარში 166 ბურთი გაუშვეს. მეტოქეების კარში კი არც ერთი გოლი არ გაუტანიათ. თანაც ნახეთ, რაღა არ ილონეს, რათა თითოეულ შეხვედრაში 34 გოლამდე გაეშვათ (?!). ალბათ უახლოეს ხანში ამას ვერავინ შეძლებს.

## მარიას მოდა აინტერესებს

**თუმცა ჩოგბურთის მოყვარულებს განსაკუთრებით მარია შარაპოვას სპორტული მიღწევები იზიდავს, თავად სპორტის ლამაზმანს კი – მოდა. მაგრამ მას ამისთვის გაშიშვლების ფოტოსესია არ ჩაუტარებია, ახლა ის მონაწილეობას მიიღებს ფირმის Nike 2009 წლის საშემოდგომო ბრენდის დამუშავებაში. ამ ფირმასთან მარიას პირადი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.**



შარაპოვა ამავე დროს გახდა Cole Haan Sporting სპორტული აქსესუარების კოლექციის სახეც. ისინი გაზაფხულზე გამოჩნდება და მათი ფასი 115 -დან 550 დოლარამდე იქნება.

## პიროვნული ხიბლი

# რასაცა გასცემ — შენია...

**არც თუ იშვიათად, სხვათა ბედი ისეთებს აბარიათ, რომ გაფიქრებინებთ, ამქვეყნად მცირე სიკეთეც კი დასაფასებელი გახდაო. იქნებ, იმიტომ, რომ:**

*„ადამიანები უგუნურნი, დაუდევარნი და მოთავისენი არიან და მაინც გიყვარდეს ისინი! თუ სიკეთეს იქმ, ადამიანები ანგარებაში და საკუთარი თავის სიყვარულში დაგდებენ ბრალს და მაინც ჰქმენ სიკეთე! თუ წარმატებას მოიპოვებ, ბევრი ფარული და ცხადი მტერი გაგიჩნდება და მაინც, მოიპოვე, წარმატება! სიკეთე, რომელიც გუშინ გააკეთე, ხვალ უკვე დავიწყებული იქნება და მაინც ჰქმენ სიკეთე! პატიოსნება და გულახდილობა ბევრ ტკივილს შეგამთხვევს და მაინც იყავი გულახდილი! რასაც წლების განმავლობაში აშენებდი, ერთ წუთში შეიძლება დაინგრეს და მაინც აშენე! ადამიანებს შენი დახმარება დასჭირდებათ, მაგრამ შემდეგ თვითონვე დაგდებენ ბრალს და მაინც დაეხმარე! მიუძღვენი წუთისოფელს საუკეთესო, რაც გაგაჩნია — ძლიერ დარტყმას მიიღებ და მაინც მიუძღვენი წუთისოფელს საუკეთესო, რაც გაგაჩნია“* (დედა ტერეზა).



**ჯერჯერობით, სამწუხაროდ საქართველოში ბლომად არიან გულმოწყალებაზე დამოკიდებულნი. ვინც რა უნდა თქვას, ძალიან საჭირო საქმე კეთდება:**

**— მარგალიტა** მქვია, თბილისელი ვარ, ერთ დროს ბევრი მიცნობდა. ერთ-ერთ მხატვრულ ფილმში მთავარი როლი მაქვს შესრულებული და მეტსახელითაც მიცნობენ. არ მსურს ჩემი გვარის დასახელება, ვარ უფასო სასადილოს მოსადილე, მიუხედავად იმისა, რომ მადლიერი ვარ ლუკმაპურისთვის, რომელიც ჩემთვის არ ენანებათ, მაინც შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, მიმაჩნია, რომ ხელგაწვდილი დამტოვა ბედმა თუ უბედობამ, მაშინ როცა მთელი ცხოვრება ძალების დაუზოგავად ვშრომობდი. მარტო მე რომ ვიყო ამ ბედში, ხმას არ ამოვიღებდი, მოდით, ნახეთ რამდენი ჩემნაირია აქ, რომ არა ჩვენი დიასახლისის გულისხმიერება, ალბათ ფეხს არ მოვდგამდი.



**— სად, რომელ უფასო სასადილოში დადიხართ?**

— ბევრია ასეთი სასადილო, მაგრამ ჩვენი სულ სხვაა, ის სოლოლაკშია, ვაკიდან დავდივარ... მერწმუნეთ, სადილისა და პროდუქტების გარდა ადამიანური მოპყრობა და დამოკიდებულება არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუ თქვენ ჩვენს სასადილოში მოხვალთ და ვიქტორია მიქავას ნახავთ, დარწმუნდებით, რომ ცამდე მართალი ვარ.

**— თქვენ მადლიერებაზე ბრძანებდით?**

— მადლიერი ადამიანი არ არსებობს, რაც მეტი აქვს, მით მეტი უნდა, რადგან მიაჩნია, რომ მას უფრო და უფრო მეტი ეკუთვნის. ბევრი ისე ცხოვრობს, თითქოს არასდროს მოკვდება და რაც სიმდიდრეა, მას უნდა ეკუთვნოდეს. არადა, ისე კვდება ადამიანი, თითქოს არც უცხოვრია და ღვთის წინაშე ერთნაირად — ისეთივე უქონელნი წარვსდგებით, როგორებიც დავიბადეთ. ცოტა ყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის, მაგრამ ამის გაცნობიერებას მთელი სიცოცხლე უნდება. პიროვნულად, ერთგვარად დათრგუნულებს, თანატოლივით და თანასწორივით გვეპყრობა ქალბატონი ვიკა.

**ჯანგირ ქირია, მოსადილე:** უზომოდ კმაყოფილი ვარ. მოვდივარ, მშვიდად ვილევ ჩემს კუთვნილ ულუფას, ბაღში ცოტას დავისვენებ და მივდივარ. შაბათ-კვირასაც გვემსახურებიან. უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტებსაც გვირიგებენ.

**გიორგი ცატუროვი, მოსადილე:** ვიკა დედასავით გვეპყრობა. ერთხელ ვკითხე, რატომ ხარ ასეთი კეთილი-მეთქი... მე მშობლები მყავდა ასეთი და მათ ვგავარო... არაფერი მითქვამს, მაგრამ ვიფიქრე, თუ მშობლები ასეთები იყვნენ, გასაკვირი არაფერია-მეთქი... ვისაც მოსვლა არ შეუძლია, იქით უგზავნიან სადილს. ძველი უბნის მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ გეგენავას შტაბიდან ახალგაზრდებს ავალიათ ეს საქმე. ამას დანახვადა დაფასება სჭირდება.

**ვახტანგ მიქელაძე, მოსადილე:** სულ რაღაც 20 დღეა დავდივარ. მორიდებით მოვედი, მაგრამ როცა ჩვენდამი კეთილმოსურნე დამოკიდებულება ვნახე, აღარ მერიდება. კარგი, ერთიანი გუნდია. არაერთხელ მინახავს სხვა უბნიდან მოსულები როგორ ასადილა ვიკამ. კეთილშობილი ქალია, უფალი არასოდეს დატოვებს მას.

**ინდიკო კვეკვესკირი, მოსადილე:** თავიდან, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელი იყო ჩემი აქ მოსვლა. პირველივე მოსვლისთანავე თვალში მეცა სისუფთავე, წესრიგი და, რაც მთავარია, დამოკიდებულება მომსვლელებისადმი. მათი უმეტესობა მარტოხელაა და ჩემი აზრით მარტო სადილისთვის კი არა, იმისთვისაც მოდიან, რომ დაისვენონ, გაერთონ, აზრები გაუზიარონ ერთმანეთს. აქვე შესანიშნავი პარკია, მთელი დღის განმავლობაში ხალხმრავლობაა და მოსაწყენად ვერავინ იცლის.

**ბოლოს მივაკითხე უფასო სასადილოს დიასახლისს ვიქტორია მიქავას, რომელსაც მსგავსი სხვა ობიექტებიც აბარია:**

**— ქალბატონო ვიქტორია, თავად თუ დაგჭირვებიათ სხვისი გულისხმიერება?**

— გულისხმიერება ყველაზე იაფია, მაგრამ ხშირად ყველაზე ძვირად ფასობს. ახლახან ერთ-ერთმა ახმახმა თანამემამულემ ხორაგით დატვირთული მანქანა ორმოში ჩამიგდო, აქაოდა, ხელს მიშლი მის მოხერხებულად დაყენებაშიო. ქალი ვიყავი, რა უნდა მექნა? ისეთ დღეში მაგდებენ ხანდახან, რომ სიცოცხლე აღარ მინდა. თუმცა, ამას ჩემს ჰოროსკოპს ვაბრალებ, მერწყული ვარ, მიღებაზე მეტი გაცემა მიწევს. ის ახმახიც ქართველია და მეც. მანქანა ორმოდან ამოვიყვანე, იქ ხომ არ დავტოვებდი? სხვა წვრილმან უსიამოვნებასაც იოლად ეშველება. უბრალოდ, უემოციო ვერ იქნები გულგრილობისადმი და საყვედური წამოგცდება, მაგრამ საყვედურს ადამიანი ვერ ასცდება. სულიერი არ არსებობს, ადამიანური გულისხმიერება არ სჭირდებოდეს. მე მიყვარს შეჭირვებულნი და მათი იმედი მაქვს. არც პრესტიჟი მაინტერესებს და არც ვინმეს დასანახად ვაკეთებ რამეს.

**— ამ ფონზე, ალბათ, უფრო დასაფასებელია, რასაც აკეთებთ.**

— მე არ ვთვლი, რომ რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებ. სოციალურად შეჭირვებულთათვის ხელის გაწვდენა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს დავიწყე, საკუთარი სახლიდან გამოტანილი ტანსაცმლითა და საკვებით ვეხმარებოდი, შემდეგ სხვებიც შემომიერთდნენ. 1999 წელს მთავრობამ მოიწონა ჩემი ინიციატივა და ჯერ ქალაქის ყველა რაიონში, ხოლო 2003 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა — ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა (მაშინ ჯერაც პრეზიდენტობის კანდიდატი იყოძ, ამ ტიპის კვებისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა — მთელ საქართველოში ამოქმედდა უფასო სასადილოები.

**—აქ ხომ მხოლოდ სადილზე არ არის ლაპარაკი, არის მომსახურე პერსონალის ხელფასები, სოციალური ანარიცხები და კომუნალური სოლიდური გადასახადები, რომელიც, მსგავსი დაწესებულებისთვის, სამწუხაროდ, არანაირ შეღავათებს არ ითვალისწინებს. როგორ აუდიხართ ამდენ ხარჯებს?**

—ღვთის შეწევნით... მე მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ, სხვა შემთხვევაში, აქ დარჩენას ვერაფერი მაიძულებდა. მით უმეტეს, მაქვს წასასვლელი. ჩემი გოგონა ისე ნორმალურად ცხოვრობს ჩემს ინგლისელ სიძესთან ერთად ესპანეთში, არ გამიჭირდება უზრუნველად ცხოვრება, მაგრამ ეს არასდროს მოხდება. მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ულამაზესი თბილისი. ქუჩის დამლაგებელი რომ ვიყო, მაინც აქ დავრჩები.

სხვათა შორის, დასასვენებლად ჩამოსულ სიძეს აქ ომმა მოუსწრო, თავის ქვეყანაში გაქცევაზე წუთითაც არ უფიქრია. პირიქით, ინერვიულა და ცდილობს სწორი ინფორმაცია გაავრცელოს ინტერნეტით და ასე დაეხმაროს საქართველო. მოგეხსენებათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ინფორმაციის გავრცელებას. შვილიშვილს ქართულად ზრდიან ჩემი და საქართველოს პატივისცემით. არც რუსებისადმი ზიზღი მიგრძვნია, პირიქით, ვფიქრობ, რომ მათაც სჭირდებათ მხარდაჭერა, რადგან მთავრობის მოუქნელი პოლიტიკა მათ ღირსებასაც და ეკონომიკასაც ერთდროულად მიწასთან გაასწორებს.

**— ამ მძიმე დღეებში საქმიანობაში ხელი არ შეგშლიათ?**

— არა. ომის მძიმე დღეებში გამოჩნდა, რა შეგვიძლია, უფრო მონდომებით ვიმუშავეთ. რამდენიმე დღის განმავლობაში ვმასპინძლობდით საკუთარი სახლ-კარიდან დევნილებს, საამისო ადამიანური რესურსი გვყავს და შესაძლებლობაც გაგვაჩნია. ჩვენი სურვილია ხელი გავუწოდოთ გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეებს. აეროპორტის ტერიტორიის უფასო სასადილოში, ბატონ გიორგი კარბელაშვილის უშუალო ხელშეწყობით, 60 დევნილს ღირსეულად ვმასპინძლობთ...

**თბილისში სხვა უფასო სასადილოც ბევრი ვნახე...**

**მარიამ გელოვანი**

## ხსოვნა

# ვალერიან კაკაშვილი

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ფინანსების და აღრიცხვის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის, აგრარიკოს-სტატისტიკოსის ვალერიან კაკაშვილის გარდაცვალებას.

ვალერიან კაკაშვილი დაიბადა 1928 წელს მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონში გლეხის ოჯახში. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის აგროეკონომიკის ფაკულტეტი აგრონომ-ეკონომისტის კვალიფიკაციით.

მან გაიარა ცხოვრებისა და მოღვაწეობის გრძელი გზა, რომელიც იწყება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტატისტიკის და ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის ლაბორანტიდან უფროს მასწავლებლამდე.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ის ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და მეთოდოლოგიურ საქმიანობას. ავტორია 50 სამეცნიერო, მეთოდური ხასიათის შრომისა.

მისი მოღვაწეობა აღინიშნა მრავალი მადლობით და სამთავრობო ჯილდოთი.

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

---



მეუღლე რუსუდან რუხაია-ქობლიანიძე, შვილები გიორგი, ბაადურ ქობლიანიძეები, რძლები თეა გიუნაშვილი, თამარ ალადაშვილი, შვილიშვილები მარიამ, ნანუკა, ანა, გიორგი, გოჩა, ელენე ქობლიანიძეები, და ლინერი ქობლიანიძე, დისწული ნუგზარ თვაური, რძალი ნანა გოცირიძე, სიდედრი ზინა ხიტირი მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 IX, წინამძღვრიშვილის 85 ზ. გამოსვენება 18 IX, 14 სთ. ქაშუეთის ეკლესიიდან.

---



სიდედრი ზინა ხიტირი, ცოლისდა ქეთევან რუხაია, ქვისლი ფრიდონ ინჯია, ცოლის დისწულები ილია, ხათუნა ინჯიები, სიძე კახა კოტრიკაძე მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალებას.

---



სიდედრი ზინა ხიტირი, ცოლისდა ლია რუხაია, ქვისლი თამაზ შევარდნაძე, ცოლის დისწულები ვახტანგ, ივიკო შევარდნაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალებას.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციონერები და თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გოჩა ქობლიანიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციონერები და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქ-ნ ქეთინო რუხაიას სიძის, ბატონ ფრიდონ ინჯიას ქვისლის, ილია და ხათუნა ინჯიებს ბიძის

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო და გიული ალადაშვილები, სოფიო ალადაშვილი, ჯაბა გურეშიძე და გულნარა ელიზბარაშვილი მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალებას.

---

ჰამლეტ გიუნაშვილი, ნანა და დალი სინჯარაძეები, რამაზ გიუნაშვილი და თამარ ოდიშელიძე მწუხარებით იუწყებიან

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალებას.

---

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ბ-ნ ფრიდონ ინჯიას და ქ-ნ ლალი (ქეთინოძ რუხაიას

**გოჩა ქობლიანიძის**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ, მანანა, გრაფო, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ნანი და ლალი ქავთარაძეებს მამის

**შალვა ალექსანდრეს ძე ქავთარაძის**

გარდაცვალების გამო.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

უახლესი ტექნოლოგიები

# ჰაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ვიტრინა მაცივარი და მინი ბარი სასმელების, რძის პროდუქტების, მედიცინაში წამლების შენახვა-რეკლამირებისთვის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია



| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება |
|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | |
| SC-110C | 558 | 660 | 883 | 0.7კვ/24სთ-ში |
| SC-348LP | 640 | 625 | 2000 | 1.8კვ/24სთ-ში |
| SC-448LP | 585 | 620 | 1755 | 2.5კვ/24სთ-ში |
| SC-648L | 900 | 580 | 1905 | 2.5კვ/24სთ-ში |

მისაღები ფასები + საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-50-20. 35-60-78
ელ-ფოსტა: tsikara2005@mail.ru; tsikara2005@yahoo.com


## გამოსათხოვარი

# მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულის ხანჯრითა...

შარშან თქვენი 80 წლის იუბილე აღვნიშნეთ, რაც ამავე გაზეთით მოგილოცე. რას ვიფიქრებდი, რომ სულ მალე გამოსათხოვარი წერილის დაწერა მომიხდებოდა. ოთარ აბდუშელიშვილი აღარ არის. თითქოს ისეთი არაფერი, ბევრი იფიქრებს, ყველამ იცოცხლოს ამდენ ხანსო, მაგრამ...



როდესაც ოთარ აბდუშელიშვილისთანა დიდი კაცები მიდიან, ასაკის მიუხედავად მაინც უდროო გგონია სიკვდილი. „მაღალი, უხვი, მდაბალი“. მოკლედ ასე შეიძლება ითქვას ბატონ ოთარზე.

ბევრი ტკბილ-მწარე გაჭამა ამ უსწორმასწორო სოფელმა, ბატონო ოთარ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა მთელი ცხოვრების ნაშენებ-ნალოლიავები ერთ დღეში დაგინგრიეს. მაინც ვერ გაგაბოროტეს, სულით ვერ გაგტეხეს. თუმცა ჯანით კი მოტყდი. ეს რომ არა, იქნებ ცოტა კიდევ გეცოცხლა? თუმცა ღირს კი პატივაყრილ, გაუპატიურებულ საქართველოში ცხოვრება?! სამშობლოში, რომლის უბედურება პირად შეურაცხყოფად მიიღე და მისი ჯავრი სამარეში მიგყვება.

მშვიდობით „კონსტანტინოვიჩ“... დაგტირის შენი ჭიათურა, საჩხერე, ბჟინევი, შენი თბილისი, რომელსაც შენი სახით ერთი კოლორიტი, კაი ყმა დააკლდა. გლოვობს შენი დიდი საძმაკაცო, რომელსაც ერთი ნუგეში აქვს — შენი დიდი გვარი, ჯიში სიცოცხლეს განაგრძობს შენს ალიკვალში, ჭაბუკ ოთარ აბდუშელიშვილში.

მრავალჟამიერ, ღმერთო, დიდი ოთარის დანატოვართ!

ამინ!

*შენი დათო მხეიძე*

შვილები ბიჭიკო, მანანა, დები გუგული, ელიკო აბდუშელიშვილები, შვილიშვილები ოთარ აბდუშელიშვილი, ეკა თარგამაძე, სიძე ოთარ თარგამაძე, დისწულები გია, ვაჟა, ნინო ცინცაძეები, თამუნა, დათო მეიფარიანები ოჯახებით, მძახალი კლარა ბაქრაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ კონსტანტინეს ძე აბდუშელიშვილი

პანაშვიდი 16, 17 IX 17 სთ. მისამართი: ტიციან ტაბიძის №88. გამოსვენება 18 IX, 15 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან.

გურამ (კოია) გომართელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ღირსშესანიშნავი მამულიშვილი

ოთარ აბდუშელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## კადრი




რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.


## ანეკდოტები

რუსი რაიმე ნივთის ინსტრუქციას კითხულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდება, რომ იგი გააფუჭა ან გატეხა.



* * *

ფული ბედნიერებას ვერ ყიდულობს, მაგრამ იმის საშუალებას კი იძლევა, რომ უბედურება გემოვნების მიხედვით შეარჩიო.

* * *

ის კიდევ არაფერი, რომ მეზობელი დილის 4 საათამდე აღნიშნავდა თავის დაბადების დღეს... გამთენიისას გაირკვა, რომ ვიღაც პედერასტს მისთვის ბურთი უჩუქნია...

* * *

— წარმოგიდგენია, — ეუბნება ცოლი ქმარს, — გუშინ თურმე ივანოვები წვეულებიდან ბრუნდებოდნენ, როგორც კი სადარბაზოში შესულან, აგური ჩამოვარდნილა და ქმარს თავში დასცემია, ცოლი კი უკან მონავალა და არც არაფერი მოსვლია.

— ახია მაგაზე, — ბრაზობს ქმარი, — აწი მაინც ეცოდინება, რომ ცოლი წინ უნდა წაიმძღვაროს.


პაატა გუგუშვილის სახელობის ლიცენზირებული უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას

ბაკალავრიატი:
1. სამართალმცოდნეობა; 2. საფინანსო, საბანკო და საგადასახადო საქმე; 3. ფილოლოგია (ინგლისური ენა და ლიტერატურა); 4. დაწყებითი განათლება.

უმაღლესი პროფესიული განათლება:
1. სოციალური უზრუნველყოფის სამსახური; 2. საბანკო საქმე; 3. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; 4. ტურიზმის მენეჯმენტი; 5. მარკეტინგის მენეჯერი; 6. გიდ-თარჯიმანი (ინგლისური, გერმანული, რუსული).

სწავლის ხანგრძლივობა ბაკალავრიატზე 4 წელი. უმაღლეს პროფესიულ განათლებაზე — 3 წელი. წარჩინებულებს დაუფინანსდებათ სტიპენდია. ჩარიცხვა უგამოცდოდ.

რექტორი — აკადემიკოსი ლელო ბიქაჯა.

ერთწლიანი სწავლების კურსები (9 და 11 კლასის ბაზაზე)
1. კომპიუტერული სისტემების ოპერატორი; 2. კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება; 3. უცხო ენები და კომპიუტერული საოფისე პროგრამები; 4. ბუღალტერია (კომპიუტერული ბუღალტერია); 5. სასტუმრო საქმის სპეციალისტი. დიდუბე, ეგლაძის ქ. 37 (მე-2 სართული). „მეგალაინიან“.

☎ 34-23-91; 27-07-70; 99-60-20; (893) 99-60-20; (893) 37-25-71; (899) 58-67-16.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.